# ნაკადული

1 1985



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირაკლი აბაშიძე

## პირველი თოვლის სიმღერა

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც, უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

გამოჩენილ ქართველ საბჭოთა პოეტს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობისა და ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიების ლაურეატს, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ქართველმა ერმა გულით შეიყვარა მისი მაღალი შემოქმედება, ერისკაცი და უთვალსაჩინოესი პოეტი უწოდა. გამორჩეული ხმისა და გამორჩეული ღვაწლის პატრონად გამოაცხადა.

ბატონ ირაკლი აბაშიძეს მთელის გულით ვულოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს – მისი პოეტური სიჭარმაგის დასტურს. დიდხანს გვხიბლავდეს მისი პოეზიის ომახიანი ხმა, მოაზროვნის შთანაფიქრი და უნაზესი ლირიკა. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მრავალათასიანი მკითხველისა და სარედაქციო კოლეგიის სახელით სიყვარულით ვულოცავთ ბატონ ირაკლი აბაშიძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დღე გუშინდელი, დღე — დღევანდელი

ისტორიის კუთვნილებად იქცა კიდევ ერთი, 1984 წელი და კვლავაც დიდი სურვილებით, იმედებით შევხვდით ახალ, 1985-ს.

განვლილ გზას თუ თვალს გადავავლებთ, 1984 წლის ყოველი დღეც ისევე, როგორც წინამორბედი წლებისა, აღმასვლის ახალ-ახალი საფეხურებით აღინიშნება. მართალია, სასწაულმოქმედი ზღაპარი არ გვყოლია მწედ, რომ ერთი კოვზი წყალი ზღვად ქცეულიყო და გადაგდებული სავარცხლის ადგილას უღრანი ტყე აღმართულიყო, — ჩვენი დამხმარე მხოლოდ საკუთარი აზრი, გული და მკლავი იყო და ძნელმისაღწევის დაძლევის დაუოკებელი სურვილი, მაგრამ აი, წუთით თუ შევისვენებთ, რომ წარსულში გადავიხედოთ...

**„თორმეტი წლის მანძილზე ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი გაორკეცდა — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, ჩვენი რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის მესამედ გადმოცემის საზეიმო შეკრებაზე, — ერთიორად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი და ძირითადი საწარმოო ფონდები, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა, კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში, საქონელბრუნვა“.**

**ერთიორად!**

ბოლო წლის წარმატებებიც კი იკმარებდა თავმოსაწონად, რომელთაგან მხოლოდ ორს დავასახელებთ: 577 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და 745 ათასი ტონა ყურძენი!

ჩვენს თვალწინ წლიდან-წლამდე იზრდებოდა ეს დოვლათი, შენდებოდა ბაღ-ვენახები, კაშხალები, გზები, ხიდები, მაღლდებოდა სართულები, იბადებოდნენ ახალი გმირები — ქვეყნის კულტურული და სამეურნეო აღმასვლის სასწაულებრივი მონაწილენი.

სულ 12 წელი გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე და დღეს უკვე ასევე საყოველთაოდ იქნა ცნობილი საქართველოს სს რესპუბლიკის დაწინაურება სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის რიგ პოზიციებზე.

ოცდაათამდე გაბედული ექსპერიმენტი დაიბადა, მოწმდება და ინერგება სხვადასხვა დარგის მართვის სისტემებში!

**„მუშებთან შეხვედრები, პარტიულ სამეურნეო აქტივთან საუბრები — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ა. ტიხონოვმა, ლენინის ორდენით ჩვენი რესპუბლიკის დაჯილდოების დღეებში — მოწმობს თუ რაოდენ დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის ბიუროს, რომელსაც ე. ა. შევარდნაძე მეთაურობს“.**

ცხადია, ასეთი მაღალი შეფასება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელის მუშაობისა, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების საყოველთაოდ აღიარებული მიღწევები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკთა, სპორტის ოსტატ-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ბრწყინვალე გამარჯვებები საერთაშორისო ასპარეზობებში ერთხელ კიდევ ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ სწორი გზით წარმართული ეს ძალები კიდევ მრავალგზის ასახელებენ საქართველოს, მრავალ ხასიჭადულო ფურცელს შემატებენ მისი ცხოვრების მატიანეს.

ამ ღრმა რწმენით შევდგით ფეხი ახალ 1985 წელში, რომელსაც არაერთი დიდმნიშვნელოვანი მისია აკისრია...

გული სიამაყით გვევსება, როდესაც ვაჯამებთ ქალთა წვლილს ჩვენი რესპუბლიკის წინსვლაში, როდესაც ვფიქრობთ, რომ კვლავაც მეტად გაფართოვდება ეს მონაწილეობა და რომ ჩვენი ქალების შრომითი გმირობითა და შემოქმედებითი მიღწევებით არაერთხელ გაახარებს მკითხველს, მსმენელსა და მაყურებელს ჩვენი პრესა, რადიო, ტელევიზია, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ მიღწევების კვალდაკვალ საძიებელია ახალი გზები, რეზერვები, შესაძლებლობანი ქალების — დედების მდგომარეობისა და ბავშვთა აღზრდის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

არაერთხელ დაწერილა იმ მეურნეობებსა და ორგანიზაციებზე და მათი ხელმძღვანელების დიდ პატრიოტულ თაოსნობაზე, ვინც ილვწის ამ მიმართულებით, ვისაც დიდად საპასუხისმგებლო სამეურნეო გეგმების გვერდით ასევე აუცილებელ, პირველ ნომერ ამოცანად მიუჩნევიათ თავიანთი დაწესებულება-მეურნეობების მშრომელთა ოჯახებზე — დედებზე, ბავშვებზე ზრუნვა.

ამავე მიზნით აფხიზლებს და საჭირო მიმართულებებით წარმართავს საზოგადოებრიობის აზრს მრავალშვილიანი თუ ახალგაზრდა დედების შეკრებები — ტრადიციად რომ დამკვიდრდა: ბათუმში, ზუგდიდში, ცხაკაიაში, ვანში, ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში...

ნოვატორული ძიებების რიგს განეკუთვნება ზესტაფონის რაიონისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის ექსპერიმენტი ბავშვთა აღზრდის დარგში: „ოჯახი — სკოლა — წარმოება". ეს სამი — ერთ ბირთვად შეკრული უჯრედი ერთობლივი პასუხისმგებლობით რომ ზრუნავს მათი ყოველი აღსაზრდელის ბედზე.

გააქტიურდა ქალთა საბჭოების მუშაობა — მათი ზრუნვა დედებზე, მოზარდებზე, სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახებზე...

და რაც მთავარია, ეს არის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღება მრავალშვილიან და ახალდაქორწინებულთა მიმართ.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა კეთილი კვალი არ მოეყოლოდა: ჩვენს დედაქალაქშიც შესამჩნევად იმატა 3,4 და მეტშვილიანი ოჯახების რიცხვმა. ეს ტენდენცია მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის დიდ მხარდაჭერას საჭიროებს.

ეს კი ნიშნავს: კიდევ მეტი პრივილეგია მრავალშვილიანებსა და ახალგაზრდა ოჯახების მშობლებს შრომით მოწყობაში, სამსახურებრივ დაწინაურებაში, საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ეს ნიშნავს: მკაცრი კონტროლის დაწესებას ყველა იმ დაწესებულების მუშაობაზე, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს ოჯახების კეთილდღეობის, მოზარდი თაობის აღზრდის ინტერესებს.

ეს ნიშნავს: კიდევ მეტი გულმხურვალებით ვიღვწოდეთ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისათვის, რაც ასევე საბოლოოდ ჩვენი ოჯახების ყოველმხრივი კეთილდღეობის დონის ამაღლების საწინდარია.

ამ განწყობილებებით შევხვდით ახალ წელს, ხოლო მის მიწურულში ყველა ჩვენგანი თვითანგარიშით წარვდგებით 1986-ის წინაშე იმის თაობაზე, თუ რა წვლილი შევიტანეთ XI ხუთწლედის ღირსეულად დაგვირგვინებაში; რა რეალური დახმარება გავუწიეთ ოჯახებს, დედებს — ვისაც ეს დახმარება დასჭირვებია;

როგორ აღვნიშნეთ დიდი სამამულო ომის 40 წლისთავი — რა გავაკეთეთ შინმოუსვლელთა ხსოვნისა და მათი ოჯახების სასიკეთოდ.

რა წვლილი შევიტანეთ ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში — მშვიდობის განსამტკიცებლად.

და საერთოდ, რით მოვიწონებთ თავს პარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად.

სამოღვაწეო ასპარეზი დიდია და საპატიო.

დიდ გამარჯვებას გისურვებთ და მრავალ ბედნიერ ახალ წელს!

მარიკა ბარათაშვილი

ნაზი კილასონია

## ყოველ ახალ წელს!

ყოველ ახალ წელს
ზე სურვილი გვწევს,
ყოველ ახალ წამს
მარადისად გვწამს,

რომ მამულის ხმა
გაგვიმაგრებს მხარს,
რომ სიმაღლით გვმზერს
სიახლეთა მზე,

რომ ბედნიერ წელს
დავიგულებთ მზედ,
ფიფქია თუ თოვს
გული სიტკბოს გვთხოვს,

აღმავლობის მთას
იმედები რთავს.
გაუმარჯოს მწეს —
სამშვიდობო წელს.

გავუმრავლდეთ ერს,
ჩვენს შნოსა და ფერს
და ფიფქებიც წელს:
მრავალ ახალ წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო მილოცვა

ახალ წელს გვილოცავენ 1984 წლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავ-მოტორისტი ნუნუ ლორია და ქუთაისის პურპროდუქტების საწარმოო კომბინატის წისქვილის საამქროს საფქვავი განყოფილების მვალცავი ლამარა ნიკოლაძე.

მათ უკვე საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში იცნობენ. საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო შვილებმა ასახელეს სამშობლო, თავიანთი საწარმო, თავიანთი ბრიგადა.

მათ ასეთ დიდ ჯილდოზე არც უოცნებიათ. უყვართ შრომა, პატიოსნად და თავდადებით მუშაობენ, გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, არიან დამრიგებლები და ზრდიან მუშათა ახალ ცვლას, კარგახანია შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედი.

ნუნუ ლორია ოცი წელია პირველ სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს. მისი ბრიგადა ქურქებს კერავს. ნუნუს ყველაზე რთული ოპერაციის შესრულება, მკლავის ჩაკერება უხდება, დამატებით ჯიბესაც აკერებს. რაც მთავარია, მისი ნახელავი მაღალხარისხოვანია. უყვარს კოლექტივი, ეხმარება გვერდით მდგომს; როგორც ბრიგადული მეთოდის ბრიგადირი ზრუნავს საერთო გეგმის შესრულებაზე, მუშების მიერ დამატებითი ოპერაციების ათვისებაზე, დამზადებული პროდუქციის საუკეთესო ხარისხზე.

მეთერთმეტე ხუთწლედში ნუნუმ ორი ხუთწლედის გეგმა შეასრულა. იგი ჯერ ახალგაზრდაა და უკვე შრომის წითელი დროშის და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით არის დაჯილდოებული. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნუნუ ლორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის დელეგატიც იყო. იგი თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტის და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრია.

ქუთაისის მუშათა კლასის სახელოვანი შვილი ლამარა ნიკოლაძე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელია. მისი კოლექტივი წლიურ დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. ლამარას ინიციატივით ბრიგადების პირად ანგარიშთა გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა, რამაც საწარმოს 42 ათასი მანეთი დაუზოგა.

თვითონ ლამარა 21 სამსხვრევ დანადგარს ემსახურება, საზრიანად მუშაობს და იცის ყოველი სამუშაო წუთის ფასი, დამრიგებელი მოწაფეებმა გაახარეს, ამაგი დაუფასეს — ხუთივემ უმაღლესი თანრიგის მვალცავის წოდება მოიპოვა.



ნუნუ ლორია



ლამარა ნიკოლაძე

ლამარა სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრია. მისი ინიციატივით საამქრო დიდძალ ელექტროენერგიასა და სათბობს ზოგავს.

საწარმო, რომელშიც ლამარა მუშაობს, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. კომბინატმა წლიური დავალება 17 ნოემბრისათვის შეასრულა და წარმოების მოცულობა 3,7 პროცენტით გაზარდა.

ლამარა ნიკოლაძე წარმატებებს, თავის შრომითს გამარჯვებას მშობლიურ კოლექტივს მიაწერს.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია თავისი მრავალრიცხოვანი მკითხველების სახელით ულოცავს ნუნუ ლორიას და ლამარა ნიკოლაძეს ესოდენ აღიარებასა და დაფასებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საქართველოს ქალის“



ღიმილის პრიზი



მაია ჩიბურდანიძე, ანა კალანდაძე, მარიკა ბარათაშვილი.

გასული წლის ნოემბერში, „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიისა და კოლექტივის მოწვევით რედაქციას ესტუმრა ორი საამაყო ქალი — ანა კალანდაძე და მაია ჩიბურდანიძე. ეს პარალელი შემთხვევითი არ გახლდათ: რამეთუ ორივე დიდად გვეამაყება, რამეთუ ორივე თანაბრად არის შემკული გენიოსთა სადარი სისადავითა და თავმდაბლობით, რამეთუ ორივეს შემოქმედება აღბეჭდილია დიდი ინტელექტით, პოეტურობითა და სპორტული ჟინით, რამეთუ ანას ეოჭადრაკის სიბრძნე ამშვენებს, მაიას კი პოეტური აღმაფრენა.

მოვიწვიეთ, რათა ანასათვის დაბადების დღე მიგველოცა, მაიასათვის კი სპორტული პარნასის მესამედ დალაშქვრა მიგველოცა და დაგვეჯილდოვებინა ჩვენი ჟურნალის, „საქართველოს ქალის“ „ღიმილის პრიზით“.

ძვირფასო მკითხველო, ჩვენ მათ თქვენი სახელით მივულოცეთ ყველა გამარჯვება, თქვენი სახელით მოვეფერეთ, მოვესიყვარულეთ, თქვენი სახელით ვუსურვეთ მომავალი წარმატებები და გამარჯვებები.

1985-სა და ყველა მომავალ ახალ წელს უმრავლოს ჩვენს დედა საქართველოს ანასა და მაიას სადარნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანა კალანდაძე

# ანა კალანდაძე

სამოცი წელი შეუსრულდა მას— ქართული პოეზიის მშვენებას!

უსაზღვროა ქართველი კაცის სიყვარული ანა კალანდაძისადმი. მარადიულია ეს სიყვარული მისი შემოქმედებისადმი, უკვდავი და გამძლეა იგი. პოეტური მოვლენის პირველი დღიდანვე დაიმკვიდრა ანა კალანდაძემ ტახტი საყოველთაო ტრფიალისა.

„აქეთ, მიწურის კედელზე
სხვა სასწაული ითება, —
ცარცით წერია უბრალოდ:
პოეზიასო დიდება!“

„პოეზიასო დიდება“ — ეს სიტყვები სწორედ მის შემოქმედებას ესადაგება. ჟრუანტელის მომგვრელი და სასწაულებრივია იგი. სამყარო, მისი თვალით განჭვრეტილი, — ულამაზესია, ამღერებულია სიტყვა ქართული. მის ლექსებს სათაყვანო კერპად მამული უზის. ამიტომაა ანა კალანდაძე ასე მშობლიური ყოველი ჩვენგანისთვის.

ვულოცავთ ძვირფას პოეტ ქალს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს და სიყვარულით ვიმეორებთ: „პოეზიასო დიდება!“

## პაწაწინა რტო ვარ

მეფერება მზე ალერსის მთხოვარს,
ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა...
მე მიგალობს, როდი მიმატოვა,
თოხიტარა. პაწაწინა რტო ვარ...

ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის,
ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს
მინდვრად...
დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი:
პატარა ვარ, მოფერება მინდა!

მითხარიო: როგორ, როგორ ვანდო
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?
მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო,
მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!

## იშრიალე, იგუგუნე

იშრიალე, დიდო ვერხვო,
იგუგუნე, დედამიწავ!
გაიშალა ფოთლის ეხო,
ყვავილები გაალვიძა...
ტყევ, დუმილი გვეყო, გვეყო —
მკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...
იშრიალე, დიდო ვერხვო,
იგუგუნე, დედამიწავ!..

* * *

წვიმით ჩარეცხილ ძველ კედლებს —
შატილს ავხედე განთიად...
არღუნის ორსავ ნაპირზე
ორ სასწაული ანთია:
გაღმა — ბებერი შატილი
გოროზად აიზიდება...
აქეთ — მიწურის კედელზე
სხვა სასწაული ითება, —
ცარცით წერია უბრალოდ:
პოეზიასო დიდება!

ნელი გაბრიჩიძე

## ეს... სადედოფლო ღამე რაკია

წარწერა ანა კალანდაძის
ახალ კრებულზე

აი, ეს ღამე გახლავთ ანასი,
გამო მთვარის და იების ფერფლის,
ანასი არის ახლა არმაზი,
ვით უხსოვარი გუჯარი მეფის.

მისია ახლა ჭალა არაგვის,
ფურისულების ჩუმი მაგია,
იასამნების მთელი მარაგი, —
ეს... სადედოფლო ღამე რაკია.

ნამი — მოსული წმინდა ზრახვებით,
უერთგულესი ყველა სტრიქონი,
ფრინველთა სტვენის ტურფა ნაღველი
და გამჭვირვალე ზეცის შიფონი.

მიწა — საიდან აღსდგა ძე ღვთისა,
ქედი, რომელიც გადმოვლო ნინომ,
ველი — სად ხილი ჰყვავის ზეთისა
და მოსასხამი უცხო — დომინო...

არსებობს ხიბლი —
ღვთაება ანა,
ფეერიულთა გზათა ლოცმანი,
ვარსკვლავთა ფიფქით შემკრთალი ყანა,
და... გადაშლილი ქარში ლოცვანი..



გივი წითლიძე მეჩაიეებთან

ფიქრები კომუნისტური ყოფის სოფელზე

# წყალობა ციდან არ ცვივა

სოფელი კაცით არის, კაცი კი — სოფლით. არცერთს არ შეუძლია უერთმანეთოდ გაძლება. კაცი სოფელში სიკვდილამდეა და რომ მოკვდება, თუ კარგი საქმე აკეთა სახელი რჩება მისი. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ ცოცხალია, და ას წელიწადს კი არა, რამდენიმე ასეული წელი კიდევ რჩება ცოცხლად.

ასეთ კაცობაზე ბევრს უოცნებია, მაგრამ ყველას არ შესრულებია ნატვრა.

„აქ ცხოვრობდა დიდი სამამულო ომის მონაწილე"...

ასეთი წარწერები სულ ახლახანს გაჩნდა ნატანებში შინმოუსვლელთა სახლებზე. უკვე ორმოცი წლის მერე თითქოს გაცოცხლდნენ ისინი.

გივი წითლიძემ ეს სამამულო ომის დამთავრების მე-40-ე წლისთავის ზღურბლთან მოიფიქრა.

საქართველოში ყველა იცნობს გივის. ის კი არა, უცხოეთში აქვთ გატანილი მისი კოლმეურნეობის ქება ჩვენს სიკეთეზე სიტყვაძუნწ კაპიტალისტებს.

გივიმ სოფლის მოწყობაზე ფიქრი ალბათ მაშინ დაიწყო, როცა 16 კილომეტრს გადიოდა მეზობელი სოფლის საშუალო სკოლამდე. ღამით გვიან ბრუნდებოდა, სველი და შეციებული, რომ გამთბარიყო, დაეძინა და დილით კვლავ გადგომოდა გზას სასწავლებლისკენ.

დღეს ნატანებში ორი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლაა. მეორე საშუალო სკოლას წლეულს ათი საკლასო ოთახი მიუმატეს და სწავლება ერთცვლიანი გახადეს.

თავმჯდომარეს დღევანდელი კეთილმოწყობილი სკოლა თავის განვლილ მოწაფეობას მაინც ვერ ავიწყებს.

ოცდათორმეტი წელია გივი ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. კარგი მემკვიდრეობა ერგო, კოლმეურნეობა მძლავრად იდგა ფეხზე ყოფილი თავმჯდომარეების ვასილ ჯაბუას და გრიგოლ ნაკაიძის დროს. გივი რომ თავმჯდომარედ აირჩიეს, იფიქრა, რაღა დამრჩა გასაკეთებელიო! მაგრამ საქმე კიდევ ბევრი იყო. ჭაობების დაშრობა კვლავ გრძელდებოდა, ახალ მიწებზე ჩაის და ციტრუსებს აშენებდნენ, ხალხს ასახლებდნენ, ტყე-პარკს აწყობდნენ, კურორტ შეკვეთილს საფუძველს უყრიდნენ.

ნატანებში ბევრი რამ შეიცვალა. ჩაის პლანტაციებს დღეს ხუთასი ჰექტარი უჭირავს. მეჩაიეებმა შარშან შვიდი ათას სამასი ტონა ფოთოლი მოკრიფეს და ათას ასი ტონით გადაამეტეს ვალდებულებას. მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს კოლმეურნეობის ჩაის მიკროფაბრიკა.

ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა წლეულს ივნისში შესრულდება. ასევე ადრე შეასრულებენ ხუთწლედის დავალებებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ერთ-ერთი მოწინავე დარგია, ჰყავთ რვაასი სული მსხვილფეხა საქონელი და შვიდასი ღორი. საკმაოზე მეტი აქვთ მათი საკვები, სამაგიეროდ წინანდელთან შედარებით ოცდაათჯერ მეტ ხორცსა და ოცჯერ მეტ რძეს აბარებენ სახელმწიფოს. მეცხოველეობის განვითარებისათ-

ვის ზრუნვა გრძელდება — ახალი კომპლექსი აშენდა, ახალი სახუქი პუნქტი მოეწყო. კოლმეურნეობამ ერთი წლით ადრე და გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების ჩაბარების ხუთწლიანი გეგმა. რას მიეწერება ეს წარმატებები? რა თქმა უნდა, ბუნებას არა! პირიქით, ბუნების ჭირვეულობა ხელს უშლიდა მშრომელებს. ადამიანების დარაზმვა, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრული გამოყენება, თვით ადამიანებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ზრდიდა წარმატებებს. აქ ყველაფრის შემოქმედნი ადამიანები არიან — ხანდაზმულები, რომლებიც დღესაც შრომობენ, თავმჯდომარის თანატოლნი, რომლებმაც ერთად აშენეს ახალი ყოფა, ახალგაზრდები, რომლებიც ახალგაზრდული ბრიგადების და რგოლების სახელოვან ბიოგრაფიებს ქმნიან. ნორჩი თაობა კი ახალ გარემოში იზრდება, პატარებისთვის რვა კეთილმოწყობილი ბაგა-ბაღია — ისინი ფიზიკურად და გონებრივად ყალიბდებიან. თავმჯდომარემ ისეთი ახალი ბაგა-ბაღის აგება ჩაიფიქრა, სადაც ბავშვები ზღაპარში იგრძნობენ თავს. მაისში, გამარჯვების დღის ზეიმზე ნატანებში ნორჩთა სასახლე გაიხსნება საცურაო აუზით (ჩვილი ასაკის ბავშვებისაც), თოჯინების თეატრით, საკონცერტო დარბაზით, კეთილმოწყობილი საძილე და სამეცადინო ოთახებით....

ნატანებს ღონიერი და გონიერი თაობა ესაჭიროება. ამიტომაც გივი წითლიძე ოჯახების მრავალშვილიანობისათვის ბევრ ღონისძიებას ახორციელებს. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს ოჯახის შექმნისას გარკვეული ფულადი ანაზღაურება ეძლევათ. სამშვილიანი დედები დამატებით იღებენ წლიური გამომუშავების ათ პროცენტს, ოთხშვილიანები — თხუთმეტ პროცენტს, ხუთშვილიანები — ოც პროცენტს.

ნატანებში წარმატებით ხორციელდება პარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილება — ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა. გარემო, რომელშიც აქაურები ცხოვრობენ, კეთილმოწყობილ ქალაქისას არ ჩამოუვარდება. ამიტომაც ახალგაზრდები არსად არ მიდიან საცხოვრებლად, უმაღლესის დამთავრების შემდეგ აქვე ბრუნდებიან ბრიგადის ხელმძღვანელებად, აგრონომებად, ეკონომისტებად, ექიმებად, ინჟინრებად, პედაგოგებად. დიდ პატივს სცემენ შრომის ვეტერანებს. ვისაც ას მანეთზე ნაკლები პენსია აქვს, ყოველთვიურად დამატებით ოც მანეთს იღებს. ისინი ნატანებში მოწყობილ მშვენიერ საკოლმეურნეო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში ისვენებენ. მათ ორდენებით და მედლებით აჯილდოებენ, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდებას ანიჭებენ, მათი სახლის შესასვლელთან კი წარწერებია: „აქ ცხოვრობს შრომის ვეტერანი“...

ნატანები ამაყობს მოწინავეებით, რომლებიც სეზონში 20 ტონა ჩაის კრეფენ. ესენი არიან: ცუცა ჟღენტი და მედეა სოსელია. ამაყობს შრომის გმირებით — თამარ ცენტერაძით, ანა ღელყვათი, ნინო მიმინოიშვილით, დარეჯან ტაკიძით, ლოლა გუგუტიშვილით, ლიუდი ხურციძით. ნატანებში ერთ-ერთი მოწინავეა გურამ ქინქლაძის ბრიგადა, რომელშიც ბევრი სახელოვანი ქალია. ისინი ზურგით აღარ ეზიდებიან ფოთოლს



ეთერ ძნელაძე

მიმღები პუნქტისაკენ. ჩამოივლის მანქანა და მიაქვს სურნელოვანი ჩაი ჩასაბარებლად. მეჩაიეებს აქვე ბრიგადებში აქვთ სასადილო, კინოდანადგარი, ბიბლიოთეკა, მაღაზია, საბავშვო ბაგა-ბაღი, სპორტული მოედანი, საშხაპე... და ამიტომაც იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ნატანებელი საქმრო სანატრელი გახდომიათ სხვა სოფლის გოგოებს. ნატანებელ ქალიშვილს კი მეტი ფასი დაედო მეზობლის თვალში. ნატანებში მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ისინი კიდეც ამბობენ, ჩვენ უკვე მომავალში ვცხოვრობთო. ეს იმიტომ, რომ რაც დღეს აქვთ, უფრო შორეული მომავლისთვის წარმოედგინათ. ეს წყალობა ზეციდან კი არ ჩამოვარდნილა, ათას ექვსასი ოჯახის შვილების ხელით არის შექმნილი...

ვ. ზენზიურის ფოტოები



მეჩონგურეთა ანსამბლი

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიალოგი მინისტრთან მთავარი გმირის დაუსწრებლად



დიახ, დაუსწრებლად, რადგან „მთავარი გმირი“ ჯერ უნდა დაიბადოს. მის დაბადებას მოუთმენლად ელიან ახლობელი თუ შორეული ნათესავები, ბებიები და ბაბუები, დედა და მამა... და, რაც მთავარია ქვეყანა!

მამა ვაჟს ელოდება, დედისათვის კი სულერთია, ოღონდ მშვიდობით დაიბადოს! სახელიც შეურჩიეს, — მამამ ვაჟისა შეარჩია, დედამ — ქალისა. იყიდეს უცხო და ფაფუკი საფენები, ატლასის საბანი, ნაქარგი პერანგები, ჭრელი ფაჩუჩები. დარდობენ, ვისი გამოჰყვება თვალი და ცხვირი, ტანი და ფეხი, ხასიათი. ხმამაღლა არავინ ახსენებს ავადსახსენებელს. ერთს ნატრობენ მხოლოდ ხმამაღლა — ყველაზე კარგი დაიბადოს!

ქვეყანაც ნატრობს და რადგან ხვალინდელი დღისთვის ზრუნავს, ნატვრას საქმით აპურებს!

**საუბრობს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი**
**გელა ლეჟავა**

**კითხვის დაუსმელად** — ბუნებრივია, ჩემი საუბარი იმ განწყობით უნდა წარიმართოს, რა განწყობაც არის ჩადებული ამ დიალოგის სათაურში — ადამიანი იბადება. რასაკვირველია, იგი იბადება, როგორც საკუთარი ოჯახისათვის, ასევე მისი მშობლიური ქვეყნისათვის. ამიტომაც არის, რომ მას ყოველთვის ისე უნდა ვხვდებოდეთ, როგორც ერთადერთსა და გამორჩეულს. ამიტომაც არის ასე განსაკუთრებული ჩვენი ყურადღება მშობიარე ქალისადმი.

**კითხვა: — გვაქვს თუ არა რაიმე წინასწარი ინფორმაცია იმ არსების შესახებ, რომელიც უნდა დაიბადოს?**

**პასუხი:** — რასაკვირველია, გვაქვს, როგორც დედის, ასევე ნაყოფის და, რა თქმა უნდა, მამის შესახებაც. მშობლების ანატომიურ და ფიზიოლოგიურ მონაცემებს, მათ სოციალურ მონაცემებთან ერთად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ჯანმრთელობის დასადგენად.

შემდეგ კი დროდადრო აუცილებელია ნაყოფის განვითარების შესწავლა. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე თვალით იხილავს, ექიმმა უკვე იცის მთავარი ნაყოფის შესახებ. ჩვეულებრივ საშუალებებად იქცა ექოსკოპირება, რენტგენოსკოპია და სხვა საშუალებანი, რაც ნაყოფის შესახებ გვაწვდის საჭირო ინფორმაციას. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ექიმმა მშობელზე მეტი იცის იმ პატარა არსების შესახებ, რომლის დაბადებასაც ასე მოუთმენლად ელიან. მაგრამ მინდა გირჩიოთ ისიც, რომ მშობიარობის სწორად წარმართვა ბევრადაა დამოკიდებული თვით მშობლის თვითშეგნებაზე.

**წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ დიალოგი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ერთგვარი პირველი რაუნდია იმ დიდი შეხვედრისა, რომელიც „საქართველოს ქალის“ რედაქციაში უნდა გაიმართოს. ჟურნალის ამ ნომრის გამოსვლის შემდეგ. მომავალ მრავალპლანიან საუბარში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მკითხველები და მედიცინის სხვადასხვა დარგის მუშაკები. ასე რომ დიალოგი მხოლოდ იწყება.**

**კითხვა — რას გულისხმობთ, როცა მშობიარის თვითშეგნებაზე ლაპარაკობთ?**

**პასუხი** — უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ დედის პასუხისმგებლობას მის მომავალ პირმშოს წინაშე. ორსული ქალი დროულად უნდა გამოცხადდეს კონსულტაციაში, რომ ექიმებს საშუალება მიეცეთ დროულადვე დაადგინონ ყოველგვარი გადახრა და შესაბამისი გამოკვლევის შემდეგ საჭირო პროფილაქტიკური მკურნალობა ჩაატარონ. დაგვიანება ხშირად საბედისწერო ხდება როგორც ნაყოფისათვის, ისევე დედისათვისაც.

**კითხვა — დამაკმაყოფილებლად გროვდება თუ არა ის წინასწარი ინფორმაცია, რომლის შესახებაც თქვენ ახლა ბრძანებდით?**

**პასუხი** — მე ჯერ გეტყვით რა არის ამისათვის საჭირო, — უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საქმის სწორი ორგანიზაცია, მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველა უბანზე სწორედ ამ მხრივ გავამახვილოთ ყურადღება. ქალთა კონსულტაციები ამ თვალსაზრისით საყრდენ ფუნქციებს უნდა წარმოადგენდნენ.

უთუოდ აღსანიშნავია ის, რომ ორსულობის მერვე თვიდან ორსულის პატრონობაში პედიატრიული სამსახურიც ირთვება.

**კითხვა — რაც შეეხება ორსულის თვითშეგნების ამაღლებას, რა კეთდება ამ მხრივ?**

**პასუხი** — ტარდება სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა როგორც ორსულთან, ასევე მის ახლობლებთანაც. ის, ვინც წინასწარ იძენს სათანადო ცოდნას, რა თქმა უნდა, უფრო უკეთ უვლის საკუთარ თავს და ახალშობილს ჯანმრთელობას უნარჩუნებს. ამ მხრივ ბევრ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება.

ავიღოთ, თუნდაც აკვნის პრობლემა. აკვანი მონღოლური წარმოშობისაა, მას თავისი დანიშნულება ჰქონდა მომთაბარე ტომისათვის, ბავშვის გადასარჩენად. ქართველებმა კი იგი, თავის დროზე, მოირგეს, რათა მტრის გამუდმებით მომლოდინეთ, საშუალება ჰქონოდათ, ბავშვის გადამალვა-გადარჩენისა. აკვანზე შემდეგ, როგორც გსმენია, თვით მონღოლებმაც თქვეს უარი, ჩვენ კი იგი ჩვილის ეროვნულ საწოლად მივიჩნიეთ და დღემდე ველოლიავებით.

**კითხვა — რაკი სიტყვამ მოიტანა, ხომ არ გაგიმახვილებიათ ყურადღება ზოგიერთ ქართულ ეროვნულ ტრადიციაზე, რომელიც ქალის მშობიარობასთან არის დაკავშირებული?**

**პასუხი** — ხომ შევთანხმდით, რომ ჩვენი საუბარი მხოლოდ იწყება, მოდით, ამ კითხვაზე პასუხი ეთნოგრაფებს გავაცემინოთ ჩვენი მომავალი შეხვედრის დროს, ჩვენ კი, მედიკოსები მითითებულ ტრადიციათა ღირსებებზე ვილაპარაკებთ.

წამოჭრილმა საკითხმა იქნებ აღუძრას სურვილი ჩვენს ისტორიკოსებსა და ეთნოგრაფებს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე გამოიტანონ სამსჯელოდ ისეთი საკითხები, რომელთა გახსენებასაც მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეეძლება ორსულისა და ჩვილის ჯანმრთელობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარჩუნების თვალსაზრისით.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** — საქართველოში ამჟამად არსებული სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულებების ქსელი სრულიად საკმარისია. არ გვაკლია არც ექიმები და არც საშუალო სამედიცინო პერსონალი.

პრობლემას ქმნის ამ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც, რა თქმა უნდა, გაუმჯობესებას საჭიროებს. აქ ლაპარაკია არა ზედმეტ კომფორტზე, არამედ აუცილებელ პირობებზე. მე, ჩვენი საუბრის დასაწყისში, მოგახსენეთ, ქალთა კონსულტაციები საყრდენ პუნქტს უნდა წარმოადგენდნენ-მეთქი, მაგრამ სადაოდ არ მიმაჩნია ისიც, რომ ეს პუნქტები სათანადო შენობებში უნდა გვქონდეს მოთავსებული, რასაც ვერ ვიტყვი თბილისის მთელი რიგი რაიონების ქალთა კონსულტაციებზე და სამშობიარო სახლებზეც კი. უგვიანდება რემონტი ხაშურის, მარნეულის, კასპის სამშობიარო სახლებს. ადგილობრივი საბჭოები კი, რომელთა ბალანსზეც ისინი იმყოფებიან, გაუმართლებელ გულგრილობას, უფრო ზუსტად კი, უპასუხისმგებლობას ამჟღავნებენ, რის გამოც ზოგჯერ უკიდურეს ზომებს ვიღებთ და ვხურავთ ამა თუ იმ სამკურნალო დაწესებულებას. ეს, რა თქმა უნდა, საქმის გადაწყვეტა არ არის, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი ღონისძიება ადგილობრივ ხელმძღვანელებს დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოაფხიზლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს რამდენიმე დადგენილება სპეციალურად იყო მიმართული დედათა და ბავშვთა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისაკენ, რის შედეგადაც ამ ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სამეანო-გინეკოლოგიურ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენს რესპუბლიკაში. საექსპლოტაციოდ გადაეცა სამშობიარო სახლები: გურჯაანში, ცხაკაიაში, თბილისში (№ 5 სამშობიარო სახლი). კაპიტალურად შეკეთდა სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულებანი: ბათუმში, წყალტუბოში, ზუგდიდში, რუსთავში და სხვ.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — როგორია პერსპექტივა?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** — გათვალისწინებულია ახალი სამშობიარო სახლების მშენებლობა: მცხეთაში, რუსთავსა და ქუთაისში. ქ. სოხუმში მრავალპლანიან საავადმყოფოსთან გაიხსნება სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება 150 საწოლზე. შენდება ყვარლისა და ლაგოდეხის სამშობიარო სახლები.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — და მაინც ყოველი დაწესებულების სახეს ადამიანი ჰქმნის. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ის სამედიცინო პერსონალი ჩვენი რესპუბლიკისა, რომელსაც დედისა და ჩვილის მეურვეობა აკისრია, ყოველთვის ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** ერთს ვიტყოდი დაბეჯითებით, რომ კარგი მედიკოსები უფრო მეტი გვყავს, ვიდრე ცუდი. საქვეყნოდ არის აღიარებული ქართველ გინეკოლოგთა სკოლა, მაგრამ, როგორც თქვენი შეკითხვის ტონი მიკარნახებს, ჩვენ ნაკლზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — დიახ, ამ თვალსაზრისით საინტერესოა რა კეთდება პედიატრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** — ამ მხრივ, მართლაც, ბევრი რამ კეთდება ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. ჩვენი პედიატრები კვალიფიკაციას იმაღლებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მოწინავე კლინიკებში. ჩვენის აზრით, რაიონებში მომუშავე პედიატრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად დიდ როლს ასრულებს ის საკურაციო მუშაობა, რომელსაც დედაქალაქის მოწინავე კლინიკები და პედიატრიული კათედრები ეწევიან. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მარტო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში პედიატრიის კათედრაზე 600-მდე პედიატრმა აიმაღლა კვალიფიკაცია.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — მაშინ, რატომ ხდება ზოგჯერ ის, რომ ზოგიერთი მშობიარე პედიატრის უმეთვალყურეოდ რჩება, განსაკუთრებით კი ღამით მშობიარობის დროს?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** — ჩვენ ყველა მსხვილ სამშობიარო სახლში დაწესებული გვაქვს მიკროპედიატრის სადღეღამისო მორიგეობა, მაგრამ იქ, სადაც სამშობიარო სახლის ან განყოფილების სიმძლავრე ერთობ მცირეა და მაშასადამე, მშობიარეთა რიცხვიც დაბალია, ასეთი მორიგეობის დაწესების საშუალება არ არსებობს არც ნორმატივით და არც საკადრო რესურსების ელემენტარული დატვირთვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ამ ბოლო ათწლეულში ჩვენი რესპუბლიკის საერთო აღმავლობის ფონზე (ვგულისხმობ ეკონომიკას — თავისი ექსპერიმენტებით, კულტურას, ხელოვნებას, სადაც სიტყვა „ექსპერიმენტი“ ისევე მორგებული შეიქნა, როგორც სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა დარგში), ხომ არ დადგა დრო ძირეული ცვლილებების შეტანისა სამედიცინო, სამკურნალო დაწესებულებათა მართვაში?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** — სწორედ, ამ საერთო აღმავლობის ფონზე, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ასევე მთელი რესპუბლიკის ყურადღების ცენტრშია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ პრინციპულ ძვრებთან გვაქვს საქმე. ყველა ციფრს არ მოვიტან, მაგრამ ვფიქრობ, შთამბეჭდავი უნდა იყოს ამგვარი მონაცემები: ბოლო ათწლეულში ბავშვთა სიკვდილიანობა ჩვენს რესპუბლიკაში 19-20 პროცენტით შემცირდა და ეს მონაცემები საერთო საკავშირო მაჩვენებლებზე უფრო მაღალია.

ეს მაჩვენებელი რეალურ სურათს ასახავს. ბოლო სამი წლის მონაცემის მიხედვით შეგვიძლია ხაზგასმით აღნიშვნა იმისა, რომ გამოიკვეთა ამ მაჩვენებლის სტაბილიზაციის ტენდენცია. ორმა ფაქტორმა განსაზღვრა ეს მონაცემები — პირველი: რესპუბლიკაში ამაღლდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონე, მეორე: გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება, რაც თავის მხრივ გამოიწვია სამედიცინო დაწესებულებებში დისციპლინის განმტკიცებამ, მომთხოვნელობის ზრდამ, ნეგატიურ ტენდენციებთან ბრძოლის გაძლიერებამ, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებამ, მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვამ, უახლეს დიაგნოსტიკურ საშუალებათა გამოყენებამ.

და მაინც ეს ყველა, მხოლოდ ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა გაიშალოს.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — აი იმ სამომავლო საქმიანობაში, ხომ არ არის ჩადებული გარკვეული სურვილი ექსპერიმენტების ჩატარებისა, აი თუნდაც ისეთი ვითარების აღმოსაფხვრელად, როდესაც „პედიატრის მორიგეობის დაწესების საშუალება არ არსებობს არც ნორმატივით და არც საკადრო რესურსების ელემენტარული დატვირთვით უზრუნველყოფის თვალსაზრისით“.**

**იქნებ სწორედ იქ, იმ მცირე სამშობიაროში იბადება ის ერთადერთი და გამორჩეული, ვის სახელსაც მომავალში სიამაყით მოიხსენებენ თანამედროვენი?**

**ხომ არ აპირებთ ექსპერიმენტების ჩატარებას სამშობიაროთა ახლებური გააზრების თვალსაზრისითაც, როცა ახალშობილი უშუალოდ მშობელთან იქნება დაბადების პირველი დღიდანვე?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ** — რა თქმა უნდა, ყველაფერი ახალი და კარგი უნდა დაინერგოს, მაგრამ მხოლოდ დაკვირვებული და გონიერი ძიების შედეგად.

უსათუოდ ჩავატარებთ ექსპერიმენტს რომელიმე ახალგახსნილ სამშობიარო სახლში და დედებსა და ახალშობილებს ერთად მოვათავსებთ.

მომავალი წლიდან, მართალია, შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ მაინც დაინერგება ჩვილბავშვთა თეთრეულის ერთჯერადი გამოყენება.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს, ალბათ, ბევრი სხვა კონკრეტული შეკითხვა დაებადებათ, მე და ჩემი კოლეგები სიამოვნებით გავცემთ პასუხს ამ შეკითხვებზე მომავალი შეხვედრის დროს, როდესაც კიდევ ერთხელ მოგვეცემა საშუალება დაბადება მივულოცოთ ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ახალ მკვიდრს. გამრავლება და მრავალჟამიერ სიხარული ვუსურვოთ დედა საქართველოს!

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ!
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲒᲔᲚᲐ ᲚᲔᲟᲐᲕᲐᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.

# ნათელი დღე

მხატვარი ნანი ზალიკაშვილი





ქუჩა თუთის ხეებითა და აკაციებით იყო დამშვენებული. ეზოებიდან ხვიარა თეთრი ვარდები, იასამნები და ნაადრევად აყვავებული გულყვითელა გვირილები იმზირებოდნენ. საოცარი დღე იყო. აკვარელის ნახატებივით ნაზი ფოთლები მზეზე თბებოდნენ. ზემოდან თეთრი ავტობუსი მოსრიალებდა და მის ფონზე ასფალტი ლურჯი მეჩვენებოდა, მეჩვენებოდა კი არა, ნამდვილად ლურჯი იყო.

ავტობუსი გაჩერდა. ახალთახალი იყო. შიგნით, სალონში სამიოდე მგზავრი თუ იჯდა: წითელკაბიანი ქალი, ლურჯკაბიანი ქალი, რომელსაც უშველებელი წითელი სამგზავრო ჩანთა ეჭირა, და სათვალიანი მამაკაცი, გაზეთს რომ კითხულობდა. პირველ სკამზე ჩამოვჯექი — ფანჯარასთან. თითქოს მზემ კისერში მაკოცაო, ისე ამეწვა მარცხენა მხარი. საოცარი მზე იყო. თითქოს ოქროსფრად თოვდა. არა, — ნარინჯისფრად ჩამოღვრილიყო მზის ფერი და მზე იყო ყველგან და ყველაფერში. მეორე გაჩერებაზე, თითქოს მზემ ამოიყვანაო, საოცრად თეთრი მოხუცი ქალი ამოვიდა. ჭაღარა იყო, ფართო, ღია ცისფერი თვალები და გამჭვირვალე სახე ჰქონდა. ხელში ძველი ქოლგა ეჭირა. ცარიელი სკამებისკენ გავიხედე, მაგრამ მაინც წამოვიწიე ასადგომად. მაჯაში ენერგიულად მომკიდა ხელი და მითხრა: არა! მე საერთოდ არ ვჯდები ტრანსპორტში, შვილო. თანაც მალე ჩავდივარ.

გამიკვირდა. პირველად ვნახე ასეთი უჩვეულო რამ. რამდენიმე შემთხვევა მახსოვს, თითქმის ცარიელ ავტობუსში როგორ დამადგა თავზე ახირებული მოხუცი და მაინცდამაინც ჩემი ადგილი მოსწონდა, — უნდოდა დამეთმო მისთვის ადგილი. ეს ქალი კი სულ სხვა მოხუცი იყო, ამას მაშინვე მივხვდი. კაბაც რაღაცნაირი მქრქალი ფერისა ეცვა, ძველმოდური, მაგრამ კარგად მოვლილი.

— შვილო, მე მარქსის მოედანზე ჩავდივარ. არ გამომეპაროს. ბოლო დროს ძალიან ცუდად ვხედავ.

— მეც იქ ჩავდივარ, — ვუთხარი და კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერც ეს მოვახერხე. ამ ქალმა მთლად დაიპყრო ჩემი ყურადღება. არც მანქანების ხმაური შემოდიოდა სალონში და ის ორიოდე მგზავრიც სიზმარს მაგონებდა. ვიფიქრე, ეს ქალი ნამდვილად მესიზმრება მეთქი და მომინდა მეყვირა: „აა!“, როგორც პატარაობისას, ძველ ნანგრევებში ვიცოდით ბავშვებმა. მაგრამ ისევ ქალმა გამომარკვია მირაჟიდან:

— იცით, ჩვენ, წინათ, ბევრს დავდიოდით ფეხით. რა თქმა უნდა, ტრანსპორტი არ იყო და იმიტომ. და აი მიჩვეული ვარ. — გაიღიმა. მშვენიერი კბილები ჰქონდა, ნამდვილი, თავისი კბილები. მერე ვიფიქრე, ეს ქალი მსახიობი ხომ არ არის, რომელიც მოხუცს თამაშობს მეთქი. აქეთ-იქითაც გავიხედე შენიღბული კამერის აღმოსაჩენად. მერე გამეცინა ჩემს თავზე და ნიკაპზე ხელი მივირტყი. ასე ვიცი, როცა ძალიან „შევტოპავ“ ხოლმე.

ქალი მე მიყურებდა. მერე განაგრძო:

— ფეხით მოსიარულე უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ტრანსპორტში მჯდომი. ხომ მართალია? მივეჩვიე, დიახ! ქანდაკებას ირგვლივ უნდა შემოუარო და მერე შეაფასებ შემოქმედის შრომას. მანქანიდან კი რა უნდა ნახო? ახლა, ასე გაკვრით და გავლით ნახულობს ზოგი ახალგაზრდა ყველაფერს. თქვენ არ იფიქროთ არ მიყვარდეს ახალგაზრდები. ო, ყველა მიყვარს, ძალიან ვაფასებ, მაგრამ, აი, რახან ხელოვნებაზე და ქანდაკებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მარტო მოქანდაკეებს ხომ არ უნდა ესმოდეთ თავიანთი ხელოვნება, მე მინდა რომ ყველა განათლებული იყოს: ექიმმაც იაროს გამოფენაზე და თეატრში და ინჟინერმაც. დროის პრობლემა აწუხებთ. ჩვენს დროს ბევრი სიახლე იყო, მაგალითად, კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო. დიდი მსახიობის ჩამოსვლა ხომ მოვლენა გახლდათ. ტრანსპორტი ჭირდა, მაგრამ რა დიდი სიხარულით მივდიოდით თეატრში ფეხით!

უკვე ჩამოვედით ავტობუსიდან, ქალი შეფარული ღიმილით, გამომცდელად მიყურებდა. თან ალბათ, ფიქრობდა — როგორ პასუხს გავცემდი, ან შეიძლება სულაც არაფერს ფიქრობდა. თითქოს ჩვეულო არაფერი იყო, მაგრამ, როგორც კი გაჩერდა, მაშინვე ირეალური გახდა, კინაღამ ხელი მოვკიდე თავის დასარწმუნებლად.

— მე მგონი თავი შეგაწყინეთ! — თქვა მან. მოედანი სავსე იყო ხალხით. ჩვენ მოდების სახლის წინ, სვეტებთან ვიდექით.

— რას ბრძანებთ! თქვენი სახელი მითხარით თუ შეიძლება. — ვთხოვე მე.

— თამარი მქვია.

მას, რა თქმა უნდა, არ უკითხავს, თქვენ რა გქვიათო.

— ჩემს ქალიშვილსაც თამარი ჰქვია! — ვუთხარი პასუხად.

— მართლა თამარი ჰქვია? — თვალები აუციმციმდა. იდგა და მათვალიერებდა. ღმერთმანი სხვანიც ამგვარად შეათვალიერა. როგორ არ მინდოდა, რომ წასულიყო.

— დიახ, მიჩვეული ვართ ჩვენი თაობის ხალხი ფეხით სიარულს, უკვე ხანდახან ახალგაზრდებმაც ფეხით უნდა იაროთ, თორემ მიეჩვევით მანქანას. დიახ. მიჩვევა იცის ყველაფერმა. მანქანა დიდი ცდუნებაა, დიდი. კარგად ბრძანდებოდეთ. — ჩაილაპარაკა და წასასვლელად მიბრუნდა.

„კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო თამარ“, — მინდოდა გადამეცილებინა მეორე მხარეს, მაგრამ ვერ გავბედე. ქალბატონი თამარი საოცრად ნაზად, ქალურად და ამავე დროს ენერგიულად გადადიოდა ქუჩის მეორე მხარეს, მერე სიმწვანეს, სილურჯეს და ათასნაირ ფერებს შეერია და თვალს მიეფარა.

ვინ იცის ვნახავდი თუ არა კიდევ როდისმე ამ საოცარ მოხუცს. გული რაღაცნაირი სინაზით მქონდა სავსე: თითქოს ჩემს პატარა თამარს მოვეფერე და სკოლაში გაიქცა.

საოცარი მზე იყო. მზის სხივები ოქროსფრად თოვდა. არა, ნარინჯისფრად! არა, არც ლიმონისფრად, არც წითლად. ეს მხოლოდ და მხოლოდ მზისფერი იყო. ასეთი ფერი არ შეიძლება ჰქონდეს რამეს ქვეყანაზე. მზე იყო ყველგან და ყველაფერში.

თინათინ ჭეჟია

# ნედლი სალამურები

## დღეს ყველაფერი მეპატიება

ვით ნაზამთრალი მიწა წვიმებით,
ისე ვარ სავსე ამ გაზაფხულით,
და თუ უეცრად აგიტირდები,
სულს ნუ აგიმღვრევს ეჭვი ფარული!

თუ ავიმღვრევი და ავზვირთდები,
ნუ დაგტანჯავენ მწარე ფიქრები!—
როგორც უეცრად აგიჯანყდები,
ისე უეცრად დაგიმშვიდდები!

გულში ვინახავ ყველა ოცნებას
და ნუ დაგწყდება, ძვირფასო, გული!
დღეს ყველაფერი მეპატიება,
ისე სავსე ვარ ამ გაზაფხულით!

## თინიკოს

შენ ისე ჩუმად ოცნებობ ახლა,
რომ ეს ოცნება მხოლოდ შენია,
შენ შენს მზეჭაბუკს უყვები ამბავს
და ეს ამბავი ისე გრძელია
როგორც მზის გზაა დაუსაბამო,
როგორც ზეცაა ლურჯი და სუფთა,
და შენი გული თბილი და ამო,
მზეს უმზადებდა საბუდარს მუდამ.
არაფერია ისე ნამდვილი,
როგორც შენს თვალზე მბრწყინავი ნამი...
რა უნდა იყოს ქვეყნად ადვილი,
ჩვენს ბედს განსაზღვრავს როდესაც წამი.
და დასასრული არ უჩანს ამბავს
და შენ შენეულ სიზმრებზე ფიქრობ,
შენ სიყვარულზე ოცნებობ ახლა
და ეს ოცნება კურთხეულ იყოს!

დარეჯან კვანჭიანი

## მიმასწავლეთ გზა

დამეკარგა თვალფახულა ბიჭი,
სად არ ვძებნე, სად არ ვძებნე, სად,
მაპოვნინეთ, თორემ მომკლავს იჭვი,
თუ არა და — მიმასწავლეთ გზა!
აკაცია გადასულა გაღმა,
აკაცია შერევია ცას,
სურნელებით გადარეულ აღმართს
მივუყვები და დავეძებ ცალს.
დამეკარგა თვალფახულა ბიჭი,
ნიავქარმა მიმასწავლა გზა,
ვიპოვე და... გათამამდა იჭვი:
სხვამ დამასწრო მისი პოვნა, სხვამ!

X X X

სიხარულმა ამოავსო სახლი
სიხარულით აჭიკჭიკდნენ მერცხლები,
„ამ საღამოს რომ ვერ გნახო?
— არა, უსათუოდ, ვეცდები!“
ცხელ ხელისგულს აულანძავს ლოყა,
სიყვარულში დამბნევია ლექსები,
თოლიას ფრთას სიზმარივით მოჰყვა
ღამეები თეთრები.
საყურედ მაქვს მოციმციმე ნამი,
ავგაროზად იასამნის მტევნები,
უფრო მეტად მოვირთვები, კარგო,
ხელმეორედ როცა აგედევნები.
ურუანტელმა დამიბნია თავგზა,
შეშფოთებით აჩურჩულდნენ ვერხვები:
„ამ საღამოს რომ ვერ გნახო?
— არა, უსათუოდ ვეცდები!“

## მამულო ჩემო

როგორც ხნულში ჩაგდებული,
პაწია თესლი,
ისე ვისრუტავ შენი მიწის
მადლიან ნაჟურს,
თან გულმოდგინედ ვემზადები,
რომ დავთავთავდე
და თვალნათელმა შემოგხედო,
მამულო ჩემო!

მანანა ხურცილავა
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის
მესამე კურსის სტუდენტი.

## მშვიდობა დედის მანდილს

გადაპენტილი ტყემლებით,
აცრემლებული ნუშით,
ლურჯთვალა ია-იებით
დილა შემოდის სულში.
მადლობა შენდა, მადლობა,
მიწის ძალუმო ფეთქვავ,
სიცოცხლის განახლებავ და
სიცოცხლის ზარის რეკვავ.
მადლობა შენდა, მადლობა,
თვალებბრიალა მზეო,
ფრთაშეკვეცილო ღამევ და
მკლავებგაშლილო დღეო!
ქვესკნელში დანთქმა საომრად
კუშტად შემართულ აფრებს,
მშვიდობა — დედის მენდილებს
და ჩვილბავშვიან აკვნებს!

რაისა შენგელია,
პედაგოგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ქალბატონი დედა"



მედეა ჩახავას, საყვარელ ქართველ მსახიობს, მრავალი სახელწოდება მისცა თავისმა ქვეყანამ, თავისმა ერმა. იგი საქართველოს სსრ სახალხო არტისტია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მას მომხიბვლელ ქალს, კეთილსა და სათნო ადამიანს უწოდებენ, მაგრამ ყველაზე ლამაზად თავისმა შვილმა — საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ „მონათლა", როცა ამდენ ქალბატონთაგან გამოსარჩევად „ქალბატონი დედა" უწოდა. ეს ორი სიტყვა, ცალცალკეც კი დიდია, ერთად კი უფრო დიდი და მოწიწების ღირსი. და ეს მართლაც შეჰფერის მედეა ჩახავას — ქალბატონსა და დედას, ამ აზრის ღრმა გაგებით.

შესაშური სიყვარული აქვთ შვილებსა და შვილიშვილებს მედეასი. მისი მყუდრო ბინა არასოდეს არის გამოკეტილი, მაგიდა — ალაგებული. დღეს მასთან თემური და მისი მეუღლე — მსახიობი ნანი ჩიქვინიძე არიან სტუმრად პატარა მედიკოსთან ერთად, ხვალ ათასი საზრუნავით და სურვილებით მოირბენენ თემურის უფროსი ქალიშვილები ეკა და თეონა, ზეგ ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდებული ბალერინა მაკა მახარაძე ეწვევა დედას ქმართან — მხატვარ მურაზ მურვანიძესთან და ქალიშვილებთან — ნატოსა და ანუკასთან ერთად.

ახალგაზრდები ხმამაღლა უკრავენ მაგნიტოფონს. უმცროს შვილს, ივანე მახარაძეს, სპორტული სიახლეები აღელვებს და ახლოს მიმჯდარა ტელევიზორთან.

ზოგჯერ ყველა ერთად შეგროვდება ხოლმე და აი, მხიარული ჟრიამულიც სწორედ მაშინ მოისმის ამ ბინიდან! მედეამ იცის, რომ ძალა ერთობაშია და ეს სიბრძნე კარგად შეაგონა თავისიანებს.

ხელოვნების სიყვარულმა დედმამის კვალში ჩააყენა შვილები. ცხოვრების გზად ხელოვნება ირჩიეს და ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ რა გულმოდგინებით, რა პროფესიული ალღოთი და ნიჭიერებით გამოირჩევიან „ქალბატონი დედის" მონაგარნი. მათთვის მედეა ჩახავას შემოქმედება ჭეშმარიტად შთაგონების წყაროა. წინათ ხომ მათი ბავშვური აღტაცებაც ემატებოდა ათასობით მაყურებელთა გულისთქმას. ისინი დედის სახით ხედავდნენ სათნო ჯენევრას ა. დიუსიოს და ჯ. გოუს „ღრმა ფესვებში", გაიანეს ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში", რისთვისაც მსახიობმა 1951 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიიღო. დედის სახით ხედავდნენ ცქრიალა მაიკო ორბელიანს (მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი"), გულად ჩეხ გოგონას ლიდა პლახას (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად"); მაყურებელი ბევრჯერ გაუოცებია ფეფელას ოინბაზობას (გ. სუნდუკიანცის „პეპო") იეზიდი მეეზოვე სარეს სახე კი (კ. ბუაჩიძის კომედია „ეზოში ავი ძაღლია") მსახიობის „საკუთრებად" იქცა. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ლიდა მატისოვამ (კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია"), ლეილამ (გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები"), მელამ (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა"), რუსულის მასწავლებელმა (ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი") და, ბოლოს, დედოფალ მარგარეტმა (შექსპირის „რიჩარდ მესამე") ორიგინალური გადაწყვეტითა და განსახიერებით, საზღვარგარეთის პრესის აღიარებაც კი მოიპოვა.

მ. ჩახავა სცენაზე უხვად აფრქვევს ბუნებით მონიჭებულ მომხიბვლელობას. ის თითქოს და უბრალოა, მაგრამ ამ უბრალოებითაც კაშკაშა და მშვენიერია. მედეას შვილებმაც დედ-მამის გზა აირჩიეს და კოლეგებად ექცნენ მშობლებს. დედა-შვილის შემოქმედებითმა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მედეა ჩახავას დიდი ოჯახი

გობრობამ შვა კნეინა ჩიტუნიას და მარია ხოსეფას მაღალმხატვრული სახეები რუსთაველის თეატრში თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ შ. დადიანის „გუშინდელნში“ და გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლში“.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მაკა მახარაძემ — მედეა ჩახავას ქალიშვილმა 1968 წელს დაამთავრა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი და ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი გახდა. ის ნიჭიერ მსახიობად აღიარეს: მისი პირველივე როლები მინკუსის „დონ-კიხოტში“, სოგეს „მოხეტიალე კომედიანტებში“ თუ კრეონის „ლაურენსიაში“ მოიწონა და შეიყვარა მაყურებელმა. მას იმთავითვე უწოდეს „ქართული ბალეტის ამომავალი ვარსკვლავი“.

მალე. დედა-შვილმა საასპარეზოდ შექსპირის „ჰამლეტი“ აირჩიეს. რუსთაველის თეატრის ოფელია — ჩახავა განსაკუთრებით ღელავდა თავისი ასულის — ბალეტის ჰერტრუდას ბედზე. დედით დალოცვილი მაკა მხოლოდ ცეკვის მაღალი კლასით კი არ გვხიბლავდა, არამედ მხატვრული სახის ღრმა გააზრებითაც.

მაკას ოცნება იყო კარმენის როლი ეთამაშა ჟ. ბიზეს ერთმოქმედებიან ბალეტ „კარმენ-სიუიტაში“. რესპუბლიკის სახალხო არტისტის — ბრწყინვალე ბალერინა ვერა წიგნაძისა და პედაგოგ რეპეტიტორების ი. ზარეცკისა და გ. კუკულაძის დახმარებით მაკა მახარაძის კარმენმაც მოხიბლა თბილისელი მაყურებელი. მაყურებლის აღფრთოვანებას მაკას მამის, პოპულარული მსახიობის — კოტე მახარაძის სიხარულიც უერთდებოდა.

მედეას უმცროსი ვაჟიშვილი ივანე მახარაძე უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობია. მან თ. ჭილაძის პიესაში („როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“) ზურაბის როლი შეასრულა.

ექვსი შვილიშვილი ჰყავს მედეა ჩახავას, აქედან ყველაზე უფროსი ეკა სამსახიობოდ ემზადება, თეონა „მზიურის“ სოლისტია. დანარჩენები იზრდებიან და მომავალს შეჰხარიან: შვილიშვილებით გარსშემოხვეული მედეა სიცოცხლის ლამაზ, ფესვმაგარ ხესა ჰგავს, რომელსაც ვერც ქარი ვნებს და ვერც ქარიშხალი. უსაზღვროა სიხარულიც: მისი შთამომავლებიც ხომ ერისა და ხალხის სამსახურში იღვწიან.

ელენე საყვარელიძე
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძვირფასო მკითხველებო!** დამთავრდა პროფესორ შალვა ამონაშვილის წერილების ციკლი — „წერილები ჩემს ქალიშვილს“. რედაქციამ უხვად მიიღო თქვენი ბარათები, რომლებშიც დიდად ემადლიერებით ავტორს გონივრული რჩევა-დარიგებისათვის. მოგწონთ „წერილების“ სტილი და მხატვრული დონე.

ჩვენმა სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა ბატონი შალვა ამონაშვილი ციკლისათვის „წერილები ჩემს ქალიშვილს“, დააჯილდოვოს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ „ღიმილის პრიზით“.

ვულოცავთ ბატონ შალვას 1985 წელს, ვუსურვებთ **ჯანმრთელობასა და წარმატებებს პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ასპარეზზე.**



შალვა ამონაშვილი

# წერილები ჩემს ქალიშვილს

# ბ ე დ ი

## წერილი მეათე

სალამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო ქალიშვილო!

ძალიან აფორიაქებული ვარ და ეს, ალბათ, წერილსაც დაეტყობა.

რამდენიმე დღეა მოსვენება მაქვს დაკარგული: ერთმა წერილმა, რომელიც შენი თანატოლი გოგონასაგან მივიღე, შენს მომავალზეც ჩამაფიქრა და თავად იმ ქალიშვილის ბედზეც. დედაჩემი — შენი ბებია — ხშირად მეტყვის ხოლმე: მშობლების საზრუნავი და შფოთი შვილების ზრდასთან ერთად იზრდებაო. მე კი ადრე, როცა ახალგაზრდა, გამოუცდელი მამიკო ვიყავი, ყველაფერი პირიქით მეგონა: აი, გაიზრდებიან ჩვენი შვილები და ჩვენც, მშობლებს, საზრუნავი მოგვაკლდება, ისინი მიხედავენ საკუთარ თავს და ჩვენზეც იზრუნებენ მეთქი. მაგრამ ეს, თურმე, გამოუცდელი მშობლის განცდა ყოფილა. იქნებ ცხოვრებაში შესულ ახალგაზრდას მართლაც თავს აბეზრებს მშობლების მეურვეობა (მეც წინააღმდეგი ვარ წვრილმანი მეურვეობისა და დაუსრულებელი ჩიჩინისა), აღარც უჯერებს მათ, მაგრამ ამით მშობელთა საზრუნავსა და შფოთის იოტის ოდნავაც არა აკლდება რა. ჩემი გამოცდილებით ვრწმუნდები: რასაც შენი ბებია მეუბნება, ის მშობლის გულის კანონი ყოფილა.

ცხოვრება, რომელშიც შენ შედიხარ, ლამაზი და საინტერესოა, მაგრამ რთული და მოულოდნელობებით სავსეც არის. რატომღაც მივეჩვიეთ რომ მოზარდებს ვარდისფერი საღებავებით დავუხატოთ სინამდვილე, ვარდისფერი სათვალეებიდან დავანახოთ ყოველივე და რაც შეიძლება დიდხანს ვამყოფოთ ისინი შორს ცხოვრების სიძნელეებისა და უსიამოვნებებისაგან. ასე იქცევიან მასწავლებლები სკოლაში, ასე ვიქცევით ჩვენც — მშობლები — საოჯახო აღზრდაში. ბავშვიც იზრდება წარმოსახულ ვარდისფერ ქვეყანაში, უყალიბდება იოლი წარმოდგენა ცხოვრებაზე, ჰგონია, თითქოს ეს ქვეყანა, ეს ადამიანები მარტო იმიტომ გაჩენილან, რომ მისი ბედნიერება აშენონ, სხვა ყველაფერი დავიწყებული აქვთ. დღევანდელი სინამდვილე კი მრავალი თაობის წვალებამ, შრომამ, ოფლისა და სისხლის ღვრამ, სიხარულისა და წუხილის მონაცვლეობამ შექმნა. ხოლო მომავალი ჩვენმა შრომამ, ბრძოლამ, ოფლის ღვრამ, სიძნელეთა გადალახვამ, სიხარულმა და წუხილმა უნდა შექმნას. რა იცი შენ ამის შესახებ? რა იციან ამის შესახებ ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა, რომლებსაც ამ მართლაც დიდებულ სამყაროში მხოლოდ ბრჭყვიალა სათამაშოებზე მიურბით თვალი? — ძალიან ცოტა! და მე ისევ და ისევ ვრწმუნდები რომ აუცილებელია შეიცვალოს აღზრდის წესი. ჰუმანური აღზრდა, რასაც მე ვქადაგებ, იმას კი არ ნიშნავს, რომ შვილები ოქროს გალიებში ჩავსხათ, ვეფეროთ და ვეალერსოთ და, როგორც ბარტყებს, ისე ვუდებდეთ პირში თუ გონებაში ათასჯერ დაღეჭილ და სტერილებულ ფიზიკურ და გონებრივ საზრდოს; ჰუმანური აღზრდა არც იმას ნიშნავს, რომ იმის შიშით, ჩვენი ბარტყები არ დაგვიფეთდნენო, ფრთებით გადავეფაფროთ და არ დავანახოთ, როგორ წამოუშინა სეტყვამ და გაანადგურა ვენახი, როგორ მოიტაცა და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლიჯა არწივმა კურდღელი. და, ბოლოს, ჰუმანური აღზრდა არც ისე უნდა გავიგოთ, რომ აქაოდა ჩვენს ბარტყებს რამე არ დაემართოთო, არაფრის ნებას არ ვაძლევდეთ, ვაშინებდეთ კიდეც: თუ ცუდად მოქცევი, ბუა მოვა და შეგჭამსო. ნამდვილი ჰუმანური აღზრდა ის იქნება, როცა თანდათანობით, მაგრამ ბეჯითად ვაცნობთ ბავშვს და მოზარდს ცხოვრების შუქჩრდილებს, ავკარგს, ვუნერგავთ კეთილის გამარჯვების რწმენას, შთავაგონებთ, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მას საკუთარი წილხვედრი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, ბევრი საქმე აქვს მოსაგვარებელი; თავადაც უნდა მიხვდეს, რომელი ჩრდილები უნდა მოსპოს, რა ავი ამოშანთოს, რა შუქი გააძლიეროს და რა სიკეთე დაამკვიდროს; ვასწავლოთ, როგორ იაროს ამ გზით, არ შეუშინდეს სიძნელეებს და როგორ ეწიოს საკუთარ ბედსაც, უფრო სწორად კი — როგორ გამოჭედოს საკუთარი ბედი.

ხომ მიხარია, რომ დიდი ხარ, მაგრამ მეშინია კიდეც!

მეშინია, იმიტომ, რომ დიდობის, დამოუკიდებლობის განცდამ, თვითდამკვიდრებისაკენ მისწრაფებამ მარტის ასაკში მყოფი ქალიშვილი ისეთ გაუგებრობას არ გადაგყაროს, რამაც შეიძლება გაამრუდოს შენი ცხოვრება. იმას კი არ ვამბობ (და არც მინდა), რომ ცხოვრებაში არაფერი სიძნელე არ შეგხვდეს. დიახაც, უნდა აღმოჩნდე სიძნელეთა წინაშე, უნდა გაგიჭირდეს კიდეც, აბა, როგორ! შენ შენი სიძნელეების გადალახვა მოგიწევს და რაც უფრო საზოგადოებრივად აქტიური და კეთილი იქნები, მით უფრო გაიზრდება წილი შენი სიძნელეებისა, ტვირთი ვალდებულებებისა, მით უფრო ხშირად აღმოჩნდები რთულ ვითარებაში. არ გამიხარდება, რომ გაექცე სიძნელეებს, გვერდი აუქციო, თვალი მოუხუჭო მათ, გაიიოლო ცხოვრება, სხვათა ხარჯზე ეძიო საკუთარი ბედნიერება და, მით უმეტეს, მიიტაცო სხვისი კეთილი ბედი.

მოკლედ, ბედზე მინდა გელაპარაკო და ძალიან შორიდან კი დავიწყე. ალბათ, იმიტომ, რომ ასე მწამს: ბედი ვერც გიმუხთლებს და ვერც გეწევა, ვერც გაგიღიმებს და ვერც წყალობით მოგხედავს, რადგან იგი საკუთარი ხელით უნდა გამოჭედო. ბედის გამოჭედვას კი ისეთი სრულყოფილი იარაღები სჭირდება, როგორიცაა: შრომა და კეთილშობილება, გულისხმიერება და თანაგრძნობა და, რაღა თქმა უნდა, წინდახედულება და გონიერება.

შენი წილი სიძნელენი უნდა გადალახო მეთქი, გარიგებ. მაგრამ უგუნური შეცდომებით კი არ უნდა გამოიწვიო ისეთი ვითარება, რომელიც ცხოვრების მანძილზე სინანულის განცდად გაგყვება, როცა შენი უპასუხისმგებლობის საზღაურს სხვები იხდიან. ასეთ სიძნელეთა გადალახვით ბედს ვერ დაიმკვიდრებ. ბედმა გაქცევა იცის. ის რომ დაიმკვიდრო და არ გაგექცეს, გონიერების, წინდახედულობის ცხრაკლიტულში უნდა ჩასვა.

ზოგს ბედი მოულოდნელი რამ შემთხვევა ჰგონია, კარს რომ მოგადგება და სიხარულით აგავსებს. ან ის რა ბედია, სხვა რომ დაკარგავს და შენ იპოვი. უაზრობაა იმაზე ლაპარაკიც, რომ ჩვენი ბედი ყოველ ჩვენგანს შუბლზე გვაწერია და რაც მოსახდენია, ის უნდა მოხდეს. მაშინ აღარაფერი ვყოფილვართ ამ ქვეყანაზე, ვიღაც უხილავი ძალა წამოგვდგომია თავს და გვათამაშებს, როგორც ჭადრაკის ფიგურებს — თავად ერთობა ჩვენ კი გვგონია, რომ ვიბრძვით ვიმარჯვებთ და ვმარცხდებით, რაღაცას ვპოულობთ, რაღაცას ვკარგავთ... ასეთ ყოფას ადამიანის გონება ვერ შეეგუება, და თუ ასე სხვის იმედად იცხოვრებდნენ წინა თაობები მაშინ, გარწმუნებთ, ჩემო შვილო, ჩვენი თაობა დღეს გამოქვაბულებში იცხოვრებდა და ჩვენი არსებობის მთავარი იარაღები ისევ ქვები და კეტები იქნებოდა.

ბოლოსდაბოლოს, რა არის ბედი? — ნატვრის ნაუცბათევი და მოულოდნელი ასრულება? ვის შეუძლია თქვას, ბედნიერი ვარო? იმას განა, ვისაც თითიც არ გაუნძრევია და ისე მოადგა კარს უზრუნველი ცხოვრება?

კარგად ჩაუფიქრდი, შვილო, რასაც ახლა გეტყვი: ბედნიერება ის არის, რომ მისდიო ამაღლებულ მიზნებს და ესწრაფვოდე იმ სიხარულს, რასაც ადამიანებს მიანიჭებ; მაშინ ისინიც მოგანიჭებენ საკუთარ სიხარულს და შენც ვერ გაგიძლებს გული, რომ არ წამოიძახო: „ბედნიერი ვარ, რადგან მიყვარს და მიხარია სიცოცხლე!" აქვე იმასაც დავუმატებ, რომ თუ გინდა ბედნიერება მოიპოვო, ემოციათა და განცდათა ტყვეობას უნდა დაეხსნა ყოველთვის, როცა საკუთარ ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას აპირებ. მინდა სწორედ გამიგო: იმას კი არ გეუბნები, რომ ვაჭრულად შეხედო საკუთარ გრძნობებს, არამედ იმას, რომ შეამოწმო, გამოსცადო ისინი, დარწმუნდე მათ ჭეშმარიტებასა და სიმტკიცეში; ასევე საქმეებში გამოსცადო ისიც, ვინც სიყვარულს გეფიცება...

იმას გეუბნებოდი, წერილს წაგაკითხებ მეთქი. აი ეს წერილიც.

„...გწერთ ამ წერილს იმ იმედით, რომ უფრო მომთხოვნი იყოთ თქვენი ქალიშვილის მიმართ. გთხოვთ ისე წაიკითხოთ იგი, ვითომ თქვენი ქალიშვილი ვყოფილვარ. ხომ შეიძლება თავნებობამ იგი ისეთსავე ბედს გადაჰყაროს, როგორსაც მე გადავეყარე? რა კარგი იქნებოდა, რომ მამაჩემი იმ უკუღმართ დღეს კარებში დამხვედროდა და მკაცრად ეთქვა: ვიდრე გონს არ მოხვალ, ვერსადაც ვერ გაგიშვებო. ახლა კი წუხს, თავში ხელებს იცემს, მაგრამ რაღა დროს? მარტო იმას გაიძახის, სულელი გოგო ხარო, რატომ არაფერი მკითხეო. მიშველის განა რამეს მისი საყვედურიანი სიტყვები? ახლა მეც ვხედავ, რა სულელური ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ იმ წარსულში ხომ ველარ დავბრუნდები და ვერც ახლიდან დავიწყებ ცხოვრებას!

მალე 18 წლის გავხდები. საღამოს სკოლის მეათე კლასში ვსწავლობ. უხალისო, უსიამოვნებებით სავსე ცხოვრება მაქვს, უკვე ამ ასაკში გული მაქვს ყველაფერზე გამტყდარი. არა და როგორი იმედებით ვიყავი სავსე, რა კარგი ოცნებები მქონდა! ამ ორი წლის წინათ თავი მეცხრე ცაზე მეგონა — შეყვარებული ვიყავი, გაბრუებული დავფრინავდი. თურმე სინამდვილეში შეყვარებული კი არ ვყოფილვარ, მოჩვენებებში ვიყავი გაბმული. თუ არა და სად უნდა გამქრალიყო ის ჩემი სიყვარული, რატომ უნდა შეცვლილიყო ასეთ მწარე განცდებად, სიძულვილად?

მეცხრე კლასში ვიყავი, რომ გავთხოვდი... მეტად უხეში და უსულგულო ქმარი მყავს. ორი შვილი შემეძინა. ახლა მთელი ოჯახი ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. ვმუშაობ, ვწვალობ, რომ როგორმე შევინახო შვილები. მეუღლე (უნდა ვუწოდო კი მას მეუღლე?) სვამს, არსად არ მუშაობს. გაუთავებლივ იმის შიში ვარ, რომ მოვა და გამამწარებს, ბავშვებსაც დაჰყვირებს, აატირებს. მაგრამ რა ვქნა, ვითმენ ყველაფერს. მე ამას არ უნდა ვწერდე, მაგრამ ველარც გულში ვიტევ ტკივილს...

აბა, რა არის ჩემს ცხოვრებაში კეთილად მოსაგონებელი? ნეტავ მართლაც დაიწვას ის დღე, როცა თავი ყველაზე ბედნიერი მეგონა და ყველასაგან დაუკითხავად დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგი! იმ დღეს რომ მამაჩემს ოთახში ჩავეკეტე, დღეს ასეთი უბედური არ ვიქნებოდი...

ვზივარ გაკვეთილებზე, მგონია, ვუსმენ მეთქი, მაგრამ ჩემი ფიქრი ჩემს შვილებს უტრიალებს, თანაც ქმართან შეხვედრის შიში მაწუხებს. თუ შინ მისვლას დავიგვიანებ, გამლანძღავს, იქნებ მცემოს კიდეც, რატომ დაიგვიანე, სად იყავიო. არსადაც არ ვიყავი, როგორც კი გაკვეთილები დამიმთავრდება ხოლმე, მაშინვე ავტობუსის გაჩერებაზე გავრბივარ. მაგრამ განა ჩემი ბრალია, რომ ავტობუსი დროზე არ მოდის? ზოგჯერ სამუშაოზე მომადგება და თუ უთხრეს, საქმეზეა გასულიო, ვაი ჩემი ბრალი, ამასაც ჩხუბი და უსიამოვნება მოჰყვება. ყველაფერ ამაზე ვფიქრობ ხოლმე გაკვეთილებზე და ხან ისე გავითიშები, მასწავლებლის არც ერთი ნათქვამი არ მესმის..."

აი, ესეც „ბედი!".

ვინ და როგორ დაამტკიცებს, რომ ამ ქალიშვილს, რომელიც თავის ვინაობას არ ამხელს, ეს ეწერა ბედად?

მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ რაც უნდა ცხოვრება გაუმრუდდეს 17 წლის ქალიშვილს, წინ მაინც დიდი გზა უდევს და ბევრ რამეს გამოასწორებს. მართალია, ძალთა დიდი მოკრება დასჭირდება, მაგრამ მაინც შეძლებს საკუთარი ახალი ბედისა და ბედნიერების გამოჭედვას. იმასაც ვფიქრობ, იქნებ ქმარი გონს მოეგოს, იქნებ უფროსები ჩაერივნენ და მოაწესრიგონ შვილების ოჯახური ურთიერთობა, დაარიგონ, ასწავლონ, როგორ იცხოვრონ, როგორ გაუგონ ერთმანეთს... უკიდურეს შემთხვევაში გაეყრება ქალიშვილი ქმარს, რომელმაც ასე უმოწყალოდ დაუმსხვრია მას იმედები, ვერ გაუმართლა სიყვარული, და ეწევა ახალ ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, გაზრდის შვილებს, იშრომებს, ისწავლის კიდეც.

რატომ მწერს ბედის უმადური ქალიშვილი ამ წერილს? დახმარებას და რჩევას კი არ მთხოვს, პირიქით, თვითონ მეხმარება: თავის ცხოვრებას მიამბობს იმ კეთილი ზრახვით, რომ მეტი ვიზრუნო შენზე, თქვენი ქალიშვილის მიმართ უფრო მომთხოვნი იყავით, მაფრთხილებს. გმადლობთ, ძვირფასო უცნობო პატარა დედავ, კეთილი რჩევისათვის! მართალი ხარ, მეც და ყველა მამა, ყველა დედა უფრო მომთხოვნი უნდა ვიყოთ ჩვენი შვილებისადმი, რა თქმა უნდა, ვურჩიოთ, დავარიგოთ, მაგრამ როცა დარიგება აღარ სჭრის და როცა ვხედავთ, რომ ემოციებით აფორიაქებული ჭაბუკი თუ ქალიშვილი შეიძლება უბედურებას გადაეყაროს, რის გამოც მერე ჩვენვე დაგვადანაშაულებს — სად იყავით მშობლებიო, უნდა გვეყოს ნებისყოფა მივმართოთ ჩვენს უზენაეს უფლებას, მშობლის უფლებას, მოვიქცეთ ისე, როგორც გვიკარნახებს გული, გონება და გამოცდილება, როგორც გვიკარნახებს ჩვენი ვალდებულება საზოგადოების წინაშე!

ჰო, მშობლები უფრო მომთხოვნი უნდა ვიყოთ!

როცა ცქცხრეკლასელი გოგონა შინიდან გაპარვას აპირებს და ვიღაცას უნდა გაჰყვეს, განა ფიქრობს იმაზე, რომ მისი სიყვარული შეიძლება ცაპნის ბუშტივით გაქრეს, სიძულვილით შეიცვალოს? აბა, საიდან იფიქრებს ამაზე, თუ გამოცდილება არა აქვს, ცხოვრებას არ იცნობს, უფროსთა რჩევას ყურად არ იღებს! ან იმას საიდან იფიქრებს, რომ ერთ-ორ წელიწადში უკვე თოთო ბავშვები ეყოლება გასაზრდელი? ეს თოთო ბავშვები თოჯინებივით კი არ დასკუპდებიან ხავერდგადაკრულ დივანზე, არამედ იჩხავლებენ, ჩაისვრიან, იცელქებენ, ყივანახველა ან წითელა შეეყრებათ და ეს ქმარიც... შეუძლია განა ემოციებით შეპყრობილ გოგონას განჭვრიტოს, რომ მისი რჩეული, დღეს ვაჟკაცობაზე რომ დებს თავს, სიყვარულს რომ ეფიცება, გიტარას აჟღრიალებს და მოდურ სიმღერებს ყელმოღერებით უმღერის, — ხვალ თავკერძა, მატყუარა, სულმოკლე ადამიანი აღმოჩნდება? ან იქნებ მასაც გრძნობებით აფორიაქებულ ჭაბუკს — ეჩვენება, რომ შეყვარებულია? — არა, არ შეუძლია ამის განჭვრეტა. ვერ იფიქრებს და ვერც განჭვრეტს იმიტომაც, რომ ამ დროს გრძნობები თონეში დაგუზგუზებულ კოცონივით ტკიცინებს და ელვარებს, ხოლო გონიერება და წინდახედულება ამ ცეცხლზე იწვის.

აი, ასე აღმოცენდება ხოლმე საბედისწერო შეცდომა!

ხომ ხედავ, ქალიშვილი თავის მამას უსაყვედურებს, რატომ დროზე არ ჩაერიე ჩემს ქცევებშიო.

უბედურებაში ჩავარდნილმა ახლა უკვე კარგად იცის, რა სიკეთეს მოუტანდა მას მშობელთა მკაცრი და არა ალირსიანი ზომები. მაინცდამაინც უნდა ვადაბრუნდეს ურემი, რომ გზა დავინახოთ? მაშ რაღად გვინდა მშობლის გული, გამოცდილება, ცოდნა? მერე რა, რომ ქალიშვილს არ მოეწონებოდა მშობელთა სიმკაცრე! სამაგიეროდ დროთა ვითარებაში ემოციები ჩაუცხრებოდა და სინამდვილესაც უფრო სალად შეხედავდა. და თუნდაც ვერ მიხვედრილიყო მაშინ მშობელთა სიკეთეს, — გვიან, წლების მერე მაინც მიხვდებოდა ყველაფერს და მადლობელიც დარჩებოდა...

თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ საქმე ნამდვილ სიყვარულთან გვქონდა. მშობელთა ჩარევა არც ამ შემთხვევაში დააშავებდა რამეს: დამშვიდებულ გულზე ასეთი სიყვარული უფრო აელვარდებოდა, რადგან გამოცდას გაივლიდა. გამოცდაგავლილი სიყვარული ყველაზე ძლიერი სიყვარულია, მის წიაღში სიცოცხლეც უკეთ ხარობს, უფრო ლამაზდება...

ხშირად ვფიქრობ ხოლმე ჩემთვის: მართლაც, შეიძლება განა მიგიშვათ ნებაზე მარტო იმიტომ, რომ ცხოვრების მწარე გაკვეთილებმა განანონ წინდაუხედაობა, გასწავლონ ჭკუა, შეგძინონ გამოცდილება? ზოგჯერ, აბა რა, უნდა მიგიშვათ ნებაზე, რომ ცხოვრების გამოცდილება შეიძინო, დამოუკიდებელი გახდე; მაგრამ რაღა მშობლები ვიქნებით, თუ ურჩ შვილს იმიტომ მივუშვებთ ნებაზე, რომ ვნებას გადაეყაროს და არ დავუშლით საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას, რამაც შეიძლება თვითონაც გააუბედუროს და სხვაც!..

სიყვარულს ვერ ეტყვი, ჯერ არ მომეკარო, შენთვის არ მცალიაო. ის არც საგანგებოდ უნდა ეძებო: აბა, ვინ შევიყვაროო. იცხოვრე, ისწავლე, იშრომე, იყავი ხალისიანი, კეთილი, გიყვარდეს ადამიანებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, თანაგრძნობა, იყავი უბრალო, თავაზიანი, არც ის დაივიწყო, რომ სინაზე და სათნოება გმართებს. და ამასობაში სიყვარულიც მოგადგება. ის თავისით კი არ მოვა, მას შენი კეთილშობილება, სინაზე და შრომა აღმოაცენებს. და თუმცა სიყვარულს პირობებს ვერ დაუთქვამ, შემოწმება ნამდვილად სჭირდება. რა სულიერ თანაზიარობას, მორალურ და შრომით პასუხისმგებლობას ემყარება იგი, რა საერთო და კეთილშობილური მიზნებისაკენ მიისწრაფვის? — აი კრიტერიუმები, რომლითაც გაიგებ, იქნება თუ არა სიყვარული მტკიცე, შინაარსიანი, ბედნიერების მომტანი.

შენს გულშიც შემოფრინდება სიყვარული, ჩემო შვილო, და მე მინდა ახლავე დავთქვათ პირობა: ვიმეგობროთ ერთმანეთთან, გავენდოთ ერთმანეთს, მოვიქცეთ ისე, რომ შენმა სიყვარულმა მარტო შენ კი არ გაგაბედნიეროს, არამედ ბევრი სხვაც. მაშინ დამჭირდება ჩემი უფლებანი და არც ერთმანეთს ავავსებთ საყვედურებით.

ნუ გამიწყრები ასეთი აფორიაქებული წერილის გამო.

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, ეწვიე იმ ზღაპრულ თეთრწვერა ბრძენ მოხუცს, ყველაზე მაღალი და თოვლიანი მთის მწვერვალზე რომ ზის და მასთან მისულ ადამიანებს ასწავლის, როგორ ეწიონ ბედს.

შენი მამა



თელავი პატარა ქალაქია, ყველამ ერთმანეთის ავ-კარგი იცის. ყველამ თუ არა, ძირძველმა მკვიდრებმა მაინც. განაპირა უბანში, მაწანწარას რომ ეძახიან (თიხის ჭურჭლის, გათლილი აკვნების უბანი გახლავთ), მასპინძელსა ვკითხე, დარიკო ბოჭორიძეს თუ იცნობ მეთქი. იწყინა კიდეც — არც იგრე ვარ დაკარგული, ჩემო დაო, დარიკო მასწავლებელს რომ არ ვიცნობდეო. აკი გითხარით, პატარა ქალაქია მეთქი, ტყუილად არ უთქვამთ აქაურებს — ზუზუმბოზე დააცემინე, ნადიკვარზე ხეირს გეტყვიანო.

შორს, კავკასიონის მთები მოჩანს, შემდეგ დიდებული ალაზნის ველი, ხოლო თელავის გულში ერეკლეს ციხე-გალავნის ქორედებით დაფხრეწილი დილა-ბინდია. გაზონის ჯერ ისევ მწვანე ბალახ-ბულახი თრთვილს მოუვარაყებია. ღამის ჯანღი აკრეფილა, მთისკენ წასულა და სათოფურებიანი კოშკის თავზე უპატრონო ლეკვივით მიუგდია ნისლის ნაფლეთი. მიდიხარ, მიუყვები დაკბილული გალავნის სიგრძეს და საკუთარი ფეხის ხმა საიდანღაც, შორიდან გესმის. თუ ბოლომდე ასე ივლი, თაღოვან შესასვლელს მიადგები. აქ იწყება დარიკოს სამსახური — თელავის პირველი საშუალო სკოლა.

ოცი წელია დარიკო ბოჭორიძე ამ სკოლას ხელმძღვანელობს, ხოლო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა 1942 წლიდან დაიწყო. უნივერსიტეტში კათედრაზე ტოვებდნენ, მეცნიერული კარიერა ელოდა, ის კი საქართველოს რუკაზე სოფელ ყანდაურას ეძებდა, სადაც ქიმიის მასწავლებელი სამამულო ომში დაღუპოდათ.

— უჭირდა ქვეყანას. ქვრივ-ობოლს გვერდით ამოდგომა უნდოდა, ცრემლის შეშრობა, ვენახში მიხმარება. ახლა უფრო ცხადად ვგრძნობ რა სწორი ვიყავი მაშინ, ეს გზა რომ ავირჩიე. სამშობლო განსაცდელში იყო, სიღარიბე გვიტევდა, მაგრამ ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, გულში იმდენი „ბღარტები“ გვესხდა რომ გაჭირვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წკრიალებენ ზარები...

ვერას გვაკლებდა. ახლა რომ ვიხსენებ, იმ დღეებს შევნატრი კიდეც. იქ რა არის გაჭირვებისა და რაღაცნაირი გააფთრებული, ლომური შემართებით გაწეული შრომის მეტი, მაგრამ ყანა იყო თუ ვენახი, სულ სიმღერითა და ჰარი-ჰარალეთი ვთოხნიდით. აი, ამ ხელებს ბარიც უნახავს, თოხიც, ნამგალიცა და სასხლავიც. მოსწავლეთა ბრიგადა ჩამოვაყალიბე, სადაც გაჭირვება იყო, ჩვენც იქ ვიყავით. თან ვმუშაობდით და თან სიმღერებს ვასწავლიდი, სადაც „გაფრინდი შავო მერცხალო“, ან „არაგვო უყარაულე ომში მიმავალ ვაჟკაცსაო“ — ისმოდა, ყველამ იცოდა, ჩვენ ვიყავით. ფრონტის ამბებსაც ვკითხულობდით, სახელდახელო საველე გაზეთებსაც ვუშვებდით, მოკლედ, ცხოვრება სავსე იყო სიცოცხლით... ჰო,იქ დამრჩა რაღაც, რაც შემდეგ ვერა და ვერ მოვიხელთე... ალბათ ჩემი ახალგაზრდობა, აქ, ჩვენში როგორც იტყვიან, სიჯეელე.

ეს ყველაფერი ისეა ნათქვამი, ახალ ნაცნობთან, მოკლე საუბარში, ზოგადად, მაგრამ მის სიტყვებში მთავარი უთქმელი ჟონავს — ვენახში უცბად წამოსული სეტყვა და ავდარი, უშეშოდ და მარტოდ გატარებული ცივი ზამთრის ღამეები, ორი შვილის დამკარგავ დედასთან სათქმელი სანუგეშო სიტყვის სიმძიმე, ომში წასულ სამ ძმასთან ფიქრში საუბარი, დღედაღამ მათი ავ-კარგის მოლოდინი; ფიქრში, წუხილში, ოცნებაში გატეხილი ღამეები.

ვერც სიყვარულს მოესწრო, ვერც დაოჯახებას, რადგან მისი ტოლი ბიჭები იმ დაწყევლილ ომში იყვნენ, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, მკერდს ტყვიას უშვერდნენ და იმედგალეულ შინდარჩენილებს გულს ცალყბა ნუგეშით უმაგრებდნენ — დავბრუნდებით, მაშ, დავბრუნდებითო. ხოლო იმ ბიჭებს დედები სასძლოდ მოწიფულ ქალიშვილებს კი არ ადვამდნენ თვალს, მათ ავ-კარგს კი არ გაიკითხავდნენ, გულგადალეულებს გაზეთებში და წერილებში ჩაერგოთ თავი და როგორც შავბედი ინებებდა, ძაძით იმოსებოდნენ.

ახლა ამ ციხე-გალავანშია მისი სახლიც და ოჯახიც. დღესდღეობით ბევრი თუა ასეთი სკოლა, რომ თავისი დაარსებიდან ორას ოცდახუთ წელს ითვლიდეს. აქ პირველი მოსწავლეები თავად ერეკლე ბატონიშვილი და მისი ბრძენი მსაჯულთუხუცესი სოლომონ ლიონიძე ყოფილან. აქ უსწავლია ბუხრის კიდეზე საწყლად ჩამომჯდარ ფშავლის ბიჭს, ლუკას, ვისაც ეკლიან ბედქუდზე ერის გენიის გამოვლინება სწერებია, ვისი სახელიც მერმე ღმერთთან გაუტოლებია საქართველოს. აქ უსწავლია რაფიელ ერისთავსაც და იქნებ ამ ციხის ქონგურების ცქერაში იბადებოდა სწორედ რომ გასაკვირველი მისი სიტყვები: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედაო“... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, სკოლას ასზე მეტი მეცნიერი მიუცია სამშობლოსათვის — ოთხი მათგანი აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. თუ მათ დავასახელებთ, უნდა ჩამოვთვალოთ მოწინავე მუშებიც, ბრიგადირებიც, მშენებლებიც და მევენახეებიც. სწორედ ისინი, დარიკო მასწავლებელს რომ დაურეკეს, ჩვენს სკოლაზე ტელეგადაცემას ვუყურეთ და სიხარულით ცას ვეწიეთო, ერთმა მათგანმა, დათო რომ ჰქვია, ალაზანმშენში მძღოლად რომ მუშაობს, სამი ბიჭი ჰყავს და კარგი სიმღერა იცის, (გვარი აღარ გაახსენდა დარიკო მასწავლებელს), ესეც კი უთხრა: რა ვუყოთ, ცოლ-შვილს ადრე მოვეკიდე, სწავლა ვერ გავაგრძელე, მაგრამ ყველას გადაეცით, ჩვენი სკოლის სახელი არასდროს შემირცხვენია, პატიოსნად ვცხოვრობ და პატიოსნად ვშრომობ, სხვაზე ნაკლებად არც მე მიყვარს ჩემი პირველი სკოლაო.

მაინც საიდან მოდის ეს სიყვარული? იქნებ იქიდან, რომ აქ, ამ მრავლისმომსწრე კედლებს შორის პირველ სექტემბერს გასაკვირველი ამბები ხდება. ზარზეიმი და ამაღელვებელი განწყობილება იქით იყოს, მუსიკის გრიალი და პირველკლასელების დალოცვაც არაფერია, მაგრამ გაგიგიათ, რომ სასწავლო წლის პირველ დღეს ამ სკოლის კურსდამთავრებული მეცნიერები, მწერლები, პოეტები და მსახიობები ატარებენ გაკვეთილებს?! ისინი მოსწავლეთა მერხებსაც შემოსხდომიან. რას აღარ იხსენებენ, რას აღარ უყვებიან თვალებად ქცეულ ბავშვებს. საიდან აღარ ჩამოსულან, რა საქმისაგან არ მოუცლიათ! და მხოლოდ ზეიმზე კი არა, საერთოდ, თელავში ჩამოსვლისთანავე აქეთ მოიჩქარიან. ან რა არის გასაკვირი. აქ, ამ ქვითკირის გალავნის ძირებში შეყუჟულა მათი ბავშვობა... არა, ამ სკოლას არ „ამთავრებენ“. ვინც ამ სკოლაში სწავლობს, ის პირველი სკოლის მოსწავლედ რჩება, და რა ბედენაა ყოველ მოსწავლეს (აქ არ უყვართ სიტყვა — კურსდამთავრებული) თუ მოუხმობენ. ახალს, ალაზნის ველი რომ ალაზნის ველია, აქედან დანახულს სხვა ეშხი აქვსო, იტყვიან ხოლმე, ერთად რომ შეიყრებიან. ცივის მთიდან მობერილი ნიავწანწალაც კი აქ ეთავისებათ. სულში გამჯდარი ადგილის დედა ხომ თავისას სჩადის; ამ ციხე-ბურჯზე გარდასული საუკუნეები გადმოფენილან, ჟამთა სიავით გატეხილს, ბედი ქართლისაც აქ გადაუწყვეტია მოხუც ერეკლეს.

— თელავი და მისი შემოგარენი ისტორიული ძეგლების მხარეა. კვირაობით ბავშვები გაგვყავს. იქ ვატარებთ ისტორიის ღია გაკვეთილებს. (მშობლებიც მიგვყავს) ახლა უნდა დავანახოთ და შევაყვაროთ ბუნებაც და ისტორიაც. მერე შეიძლება ვერც დაინახონ და ვერც შეიყვარონ. ან ველარ მოიცალონ იმის დასანახავად, რომ საკუთარი პატარა ბუდის იქით უფრო დიდი ბუდეა, უფრო სათუთად მოსავლელი, უფრო სათაყვანები...

პირველი სკოლა ვერ პასუხობს ახლანდელ მოთხოვნებს. ბევრჯერ დაისვა სკოლის ციხე-გალავნიდან გამოსახლების საკითხი, მაგრამ დირექტორი დარიკო ბოჭორიძე თავის მოსწავლეებთან ერთად მტკიცედ იცავს ძველ ფუძეს.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტმა ანა კალანდაძემ სკოლის საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა: „ჩემთვის სასიხარულოა, რომ ვეწვიე იმ სკოლას, რომელიც ორსაუკუნოვანი ისტორიით ამაყობს. აქ პირველად დიდმა ერეკლემ დარეკა ზარი და მას შემდეგ ცოდნის სიმბოლოდ მუდამ წკრიალებენ ზარები. ნუმც მოგშლოდეთ ამ ზარის წკრიალი, პირველსკოლელებო!

— მართლაც სანიმუშონი არიან, მეუბნება სკოლის დირექტორი — სწავლით, რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირად ვერ ისწავლის, მაგრამ ქცევით კი... წარმოიდგინეთ, შარშან გამოსაშვები კლასებიდან სიგარეტს არცერთი ბავშვი არ ეწეოდა. წლეულს ორი შევნიშნე, აი, მათი გვარები წინ მიდევს, შემპირდნენ აღარ გავიმეორებთო. ერთხელ კიდევ დაველაპარაკები. ვიცი, მოიშლიან, ხათრს არ გამიტეხენ.

ხათრი რომ გაუტეხონ მერე რა პირითლა გაჰყვებიან ექსკურსიებზე, როგორ დაკრეფენ ყურძენს დარიკო მასწავლებლის მხარდამხარ, როგორ მოუსხდებიან გვერდით მწერლებთან თუ პოეტებთან შეხვედრაზე, როგორ წავლენ თეატრში სპექტაკლის განხილვაზე? დარიკო მასწავლებელი ხომ ყველგან არის, სადაც ისინი არიან, სადაც საინტერესოა, სადაც აუცილებლად უნდა იყვნენ? ყველაფერს კი ისე აწყობს, ისე აკეთებს, თითქოს იოლი იყოს, ერთი ხელის გაქნევით კეთდებოდეს, ჯახირი და თავის მტვრევა არაფერზე სჭირდებოდეს... რაღაცნაირი ალალი და უყვედრებელია დარიკო მასწავლებლის შრომის მადლი.

სკოლის დირექტორს დრო თავზე საყრელად რომ არ აქვს, ეს ყველამ იცით, მაგრამ დარიკო ბოჭორიძეს კიდევ ერთი ისეთი საქმე უკისრია, დროსა და ენერგიას რომ მოითხოვს — ქალთა უფლებების ქომაგი და ოფიციალური დამცველი გახლავთ რაიონში, ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ლიტონი სიტყვა არაფრად ფასობს, სიტყვა საქმითა მტკიცობს. და აი, მისი საქმეც:

თითქმის ყველა სოფელი შემოიარეს, დაღუპულ გმირთა მემორიალების მოვლა-პატრონობა შეამოწმეს, ზოგს მოუწონეს, ზოგსაც ასწავლეს როგორ დაეწესებინათ მორიგეობა მემორიალის მოვლა-დასუფთავებაში, მაგრამ შინმობრუნებულს რაღაც უკმარობის გრძნობა დაეუფლა. მაშინვე პარტიის ვეტერანს, თამარ ჭერაშვილს დაურეკა. დიახ, ძეგლებს მოვლა-პატრონობა სჭირდება, მაგრამ იქნებ ისეთებიც გვყავს, ვისაც ომმა უპატრონო სიბერე არგუნა, იქნებ მოხუცდნენ, დაძაბუნდნენ, ცეცხლის დამნთები და წყლის მიმწოდებელი არავინა ჰყავთ, აღმოჩნდა ასეთი თელავში, სამამულო ომში დაღუპული ოთხი ვაჟკაცის დედა — პელო პაპუაშვილი. ღრმად მოხუცებული.

— საქმეში ქალებთან ერთად პიონერული ორგანიზაცია ჩავაბი. ცეცხლსაც უნთებდნენ, წვნიანსაც უხარშავდნენ და ბინასაც ულაგებდნენ პელო ბებოს. მორიგეობა იყო დაწესებული, მარტოდ არ ვტოვებდით. არც წამალი დავაკელით, არც ექიმი. ისე გარდაიცვალა, საწყალს უპატრონობა არ უგრძვნია. წავიდა თავის ოთხ ვაჟთან...შვება იყო მისთვის სიკვდილი. ჩვენვე დავიტირეთ და ღირსეული პატივით მივაბარეთ მიწას...

იცით რა კმაყოფილებას გრძნობენ ადამიანები, როცა კეთილ საქმეს სჩადიან? ეს წვალებადაც ღირს და დაღლადაც. ახლა ბავშვებს აღარ იკითხავთ? სიხარულით ცას შესცინიან ხოლმე...

რაიონულ გაზეთს „ალაზნის განთიადს“ თუ გადავხედავთ, იგი ხშირად გვაუწყებს თუ რას საქმიანობს ქალთა საბჭო.

დარიკო ბოჭორიძეს მხარში უდგანან რაიონის მოწინავე ქალები — ექიმი, სამამულო ომის მონაწილე რუსუდან აბულაძე, პედაგოგი ნინო კუხიანიძე, აგრონომი ეთერ ჯანიაშვილი, პენსიონერი ქეთევან ჭურღულაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლამარა იანვარაშვილი, ჟურნალისტები მერი ზაალიშვილი და ნუნუ მატარაძე.

— განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ახალგაზრდა და მომავალი დედების აღზრდას, მოვუწოდებთ მრავალშვილიანობისაკენ. დღეს ქართველი ქალის ფხა და ფარ-ხმალი შვილების გაზრდაში უნდა გამოჩნდეს, აქ არის მათი საგმირო ასპარეზი, მათი მამულიშვილობა და ვაჟკაცობა. ამ მიზნით მამათა საბჭო შევქმენით. მამებს ალკოჰოლის და ნიკოტინის მავნებლობაზე ვესაუბრეთ. რა დასამალია და გავაქეზეთ: ნუ გაგინებივრებიათ ცოლები, შეუჩნდით, არ მოასვენოთ, ოთხ შვილზე ნაკლებს ნუ დასჯერდებით. არაფერი დაშავდება, თუ ცოტა ქეიფს თქვენც მოუკლებთ, ცოლს გვერდში ამოუდგებით და ფუნჩულა ბავშვებით გაღუდღუდებულ აკვანს გადაარწევთ მეთქი.

მამებმაც კაი საქმე წამოიწყეს. რეიდები მოაწყეს ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. მოსამართლე თამარ ივანოვამ მამებს არასრულწლოვანთა დანაშაული გააცნო... კიდევ ბევრს მივაღწევდით, ერთ გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი.

— რა გარემოებას?

— რა და უბინაოები ვართ. ავი იყო თუ კარგი, ერთი კულტსახლი გვქონდა, იქ ვიკრიბებოდით, ვაწყობდით ლექციებსა და შეხვედრებს, მერე განგაში ავტეხეთ, რომ წყალი ჩამოგვდის, იატაკი მოძველდა, კედლები უსუფთაოა და რემონტი დაიწყეს... ნეტა სულ არ დაეწყოთ. სამი წელია გრძელდება და კიდევ რამდენ წელიწადს გასტანს! განა მარტო ჩვენ გვეშლება ხელი? აქ წრეები მუშაობდა. ალბათ, ვისზეც ეს საქმეა დამოკიდებული, მისთვის რაიონის კულტურული ყოფა მეათეხარისხოვანია...

ვემშვიდობები დარიკო მასწავლებელს, ბედნიერი ქალი ყოფილა. სიცოცხლით სავსეა მისი ყოველი დღე და საათი!

**მერი პაპუნაშვილი**

მთვარისა კერესელიძე

## ეს გაუმარჯოს!

თბილისქალაქო შენი მაყარი,
გამომიტაცეს შენმა ქარებმა,
დღეა ვარდყვავილგადანაყარი
და საოცარი დგას ბრწყინვალება.
დღეს სიხარული ვის არ მოძებნის,
ვის არ იტაცებს დღეს ეს ალაგი,
შემოიცალა ძველი ძონძები
და ჩუქურთმაში ჩაჯდა ქალაქი.
შენ დაგიკვეხოს შენმა გამჩენმა
ღვთის უკეთესი რაა ამაზე,
ეს გაუმარჯოს იმის მარჯვენას,
ვინც ხელმეორედ შენ გალამაზებს!
ო, სულისდგმაო, გიმღერი კვლავაც,
რა დიდებული ძველი ჰიმნებით,
სულში მინთია ათას ვარსკვლავად,
ჩუქურთმიანი ეს აივნები,
განახლებული ძველი უბნები,
შენი პროზა და შენი ლირიკა...
თბილისქალაქო, — შენ გეუბნები
და ანჩისხატის ყელრს ბაზილიკი!
განახლებულა დღეს ნარიყალაც,
რას დაგხატავდა ახლა ნიკალა?!
ეს ვინ დახატა მტკვარი სატივე,
ან ყვავილებით ვის ვეგებებით?
აქვე არიან და აპატიე,
შენი მწიგნობარ მდივან-ბეგებიც...
თუ სადღეისო ვერა აქვთ თქმული,
არა! უნდა თქვან ლომის ბოკვრებმა,
ან შეასკდება სიმღერას გული
და ან უთქმელი ლექსით მოკვდება!
შენ შემოგხარით საოცარ გზნებით,
ამომავალო მზეო დილისო,
ეს გოგონები და ჭაბუკები,
სულს დაგითმობენ ჩემო თბილისო...
შენ დაგიკვეხოს შენმა გამჩენმა
ან უკეთესი რაა ამაზე? —
ეს გაუმარჯოს იმის მარჯვენას,
ვინც ხელმეორედ შენ გალამაზებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აკაციის ყვავილი



ორმოცდახუთი წელია გასული მას შემდეგ. ორმოცდახუთჯერ აყვავდა აკაციის ყვავილები. ორმოცდახუთჯერ მოიფინა გაზონები და ბაღები ყვითელი ფოთლებისაგან მოქსოვილი ხალიჩებით. ორმოცდახუთჯერ გაგიხსენე აკაციის ყვავილით ხელდამშვენებული.

მაშინაც ასეთი იყო ჩემი ქუჩა: ხალხმრავალი, ხმაურიანი, ჟრიამულით რომ იკლებდნენ სკოლიდან დაბრუნებული გოგო-ბიჭები. ასეთივე მშვიდი იყო ცა და მზე კი — მცხუნვარე. მაშინაც ასე ყვაოდა გაზონებში მიხაკი და იაჟუჟუნა, ლილიფარა და ზამბახი... ასევე მუდმივად მწვანედ ხასხასებდა დაფნის ბუჩქები და მაგნოლიები.

მხოლოდ ბინებმა იცვალა სახე... ერთსართულიანი, ძველი სახლების ნაცვლად ოთხსართულიანი, მრავალსართულიანი შენობები წამოიმართა. ცხოვრება კი კვლავ თავისებურად მიდის წინ...

ორმოცდახუთი წლის წინათ მოხვედი. ხელში აკაციის ყვავილი გეჭირა. ფრინველთა დამატკბობელი გალობა ისმოდა და ყვავილთა დამათრობელი სურნელი იდგა მთელ ქალაქში.

უბრალო იყო, მაგრამ ძვირფასი ეს თეთრი, სისპეტაკის სიმბოლო — აკაციის ყვავილი...

შენ სიყვარულზე არ საუბრობდი. არ მაბეზრებდი თავს ფანტაზიით. შენ ტოლამხანაგებში გამორჩეული, ჭკვიანი იყავი, დინჯი, დაკვირვებული, ამაყი და თავმდაბალი...

ყველა ეს თვისება შენს არსებაში ერთად იყო შერწყმული. ილიმებოდი გულით, შინაგანი გრძნობით... ეს უფრო ფასს გდებდა შენ...

მეორე აკაციის ყვავილობისას აღარ მოსულხარ.

ფარაჯა ჩაიცვი და სამშობლოს ცეცხლმოკიდებულ მიწას მკერდით გადაეფარე... გადაეფარე იმიტომ, რომ მე და ჩემი ტოლები, შენი ექვსი და და ჭაღარა დედა ბედნიერები ვყოფილიყავით, არ გვენახა ნგრევა და სისხლი.

შენ ვერც წერილების მოწერა მოასწარი, ველარც აკაციის ყვავილობა იხილე, კარგო.. ძმათა სავანეში დარჩი, შორს, თბილისიდან ძალიან შორს...

წლები წლებს მისდევდა. ლოდინით დაიღალა გული... გაცვდა ნერვები, გახუნდა კაბაც და თმისფერიც... ჯერ აქა-იქ, მერე კი მთლად ვერცხლის სიმებით დაიქსელა და სარკე შემძულდა.

მერე, აქ, ჩვენთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავი გაჩნდა.. ხშირად მივდივარ და ვაკვირდები... შინაგანი გრძნობა მეუბნება: ის არისო...

იქნებ მართლაც შენა ხარ, კარგო, და უკვე რამდენი წელია მოვდივარ, აკაციის ყვავილი მომაქვს და ჯარისკაცის საფლავზე ვაწყობ. მინდა გამიხსენო, გაგახსენო ჩვენი თაობა...

ერთ გაზაფხულზე, როცა ბავშვების ჟრიამული შეწყდა, როცა დატოვეს ეს ცივი გრანიტები, როცა ყომრალისფერი ბინდი შემოეპარა ჯარისაცის საფლავს, როცა ტანაყრილი ჭადრების ჩურჩული ისმოდა, მე ჩუმად ვესაუბრებოდი ამ გაყინულ ლოდებს: ეგებ მართლაც აქ არის, ეგებ მართლაც „ეს რა სასწაულია ქვეყნად... ეგებ სიყვარულმა ჩამოიყვანა მეთქი...“

მაგრამ ასე ხომ ყველა ფიქრობს და ყველას ჰგონია, რომ...

აკაციის ყვავილს გვირგვინები სათითაოდ შემოვაცალე, დავწიწკნე და სასოებით დავწერე: „ს. მ.“... შინ მარტო დავბრუნდი, უიმედო, გრძნობისაგან დაცლილი...

მერე მოიჭრა აკაციის ხე, ჩემს სარკმელთან რომ იდგა მხრებგაშლილი. აღარა აქვს ძალა იყვავილოს. ეს მიწამლავდა ყოველ გაზაფხულს.

ახლა კვლავ ველი გაზაფხულს.

ვიცი, აღარ აყვავდება ჩემს ეზოში აკაცია, აღარ დამირღვევს მყუდროებას, აღარ ამიფორიაქებს სულის სიმშვიდეს, იქნებ შროშანებმა ან ზამბახებმა მომაწონოს თავი.

მაგრამ ვაი, რომ გვიან არის!..

დოდო ზურაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კავკასიის მთების შვილი

„რა მშვენიერი რამა ხარ დილავ გაზაფხულისაო,
ამოშვებულა სხივები ამომავალი მზისაო,
ამწვანებულა ველები, იალაღები მთისაო,
შემოფენილა მთაზედა თეთრი ფარები ცხვრისაო“.

ხალხური

საღამოა, ნათია ინტერესით უყურებს ტელევიზორს. კადრები ერთიმეორეს ცვლიან: თუშეთის ლამაზი ბუნების სივრცეზე მიმოფანტული, მთის ფერდობებზე გაშენებული, ღრმა ხევებით შემოზღუდული ლამაზციხეებიანი თუშეთის სოფლები თავიანთი კოშკოვან-ჩარდახოვანი მაღალი სახლებით გმირულ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

კავკასიონის ჩრდილოეთით მოქცეული თუშეთის მაღალი მთების დუმილს შმაგი ალაზნის შხუილი არღვევს. ეკრანზე მოჩანს თუშეთი — უსწორო ხუთკუთხედი ქვაბნარის ფორმით, თავისი 3 000 — 4 500 მეტრი სიმაღლის ქედებით.

კავკასიონის მთებზე გადამავალი, ზამთარში გაუვლელი ყველა საცალფეხო ბილიკი, რომელიც სიგრძით 120 კილომეტრი გახლავთ, შეუცვლია ახალ მოასფალტებულ 31 კილომეტრიან გზატკეცილს.

ნათია სულგანაბული შესცქერის ტელეეკრანს. გული გამალებით უცემს, დაუძლეველი სურვილი ეუფლება რაღაც კარგი გააკეთოს. და აი, გადაწყვეტილება მიღებულია! მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერს ეუბნება.

1983 წლის მარტში ნათია წარმატებით ამთავრებს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელს და სამუშაოდ განაწილებისას ითხოვს ომალოს საბავშვო ბაღში გაშვებას.

— კი, მაგრამ, იქ რომ საბავშვო ბაღი ჯერ არ არის? — ეკითხებიან.

— მე გამიშვით და იქნება! — მტკიცედ უპასუხებს ქალიშვილი.

ნათია კომკავშირის კალინინის რაიკომს მიმართავს ამავე თხოვნით, შემდეგ კი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის ახმეტის რაიკომიც ერევა ამ საქმეში. 1983 წლის 1 სექტემბერს ომალოში იხსნება საბავშვო ბაღი. ნათია ილიას ასული ხუბაშვილი ინიშნება ამ საბავშვო ბაღის გამგედ. შემდეგ მას მხარში ამოუდგებიან ომალოს თავკაცები, ახლადგახსნილი საბავშვო ბაღის თანამშრომლები: აღმზრდელი ნაზი თათარაიძე, მზარეული ეთერ სეხნიაიძე, ძიძა-დამლაგებელი ასმათ სისაური, მრეცხავი-მეეზოვე თეკლე კარდლიძე და მთელი სოფლის მოსახლეობა. საბავშვო ბაღი მომარაგდა საჭირო ინვენტარით, სურსათ-სანოვაგით. იმჟამინდელი ხის შენობის გვერდით შენდება ახალი, ტიპიური შენობა, რომელიც 50 ბავშვზეა გათვალისწინებული და ექსპლოატაციაში შევა მომავალი სასწავლო წლიდან.

შემდეგ საქართველოს ტელევიზიამ ომალოს საბავშვო ბაღიც უჩვენა და ნათიას სიტყვაც მოასმენინა ტელემაყურებელს. სიამაყით აგვავსო თბილისელი ქალიშვილის პატრიოტულმა ინიციატივამ და გადავწყვიტეთ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებიდან ვუამბოთ მკითხველებს ამ ქართველი ქალის შესახებ. გადაწყვეტილება გლდანის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ემილია (ჟუჟუნა) ხელაშვილსაც გავანდეთ. პარტიის გლდანის რაიკომთან შეთანხმებით მან ომალოს საბავშვო ბაღისათვის სათამაშოები გადმოგვცა (გლდანის რაიონი შეფობას უწევს ომალოს), ხოლო სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა და საქალაქო მეთოდურმა კაბინეტებმა კი საჭირო წიგნები, მეთოდური ლიტერატურა და თვალსაჩინოების მასალები გადმოგვცეს — ომალოში წასაღებად.

ომალოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები დიდად გაახარა თბილისელი ბავშვების მოკითხვამ და საჩუქრებმა.

ერთ დღეს ნათიამ თბილისიდან წერილი მიიღო:

„სატელევიზიო გადაცემით შევიტყვეთ, რომ თქვენ გაქვთ დიდი და ნათელი მომავლის გეგმები, მათ შორის — სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. ალბათ ამას დაუსწრებლად აპირებთ და ჩვენ, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა გადავწყვიტეთ ვიყოთ თქვენს გვერდით, ავიღოთ შეფობა იმ საბავშვო ბაღზე, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, ხოლო თქვენ ყოველნაირად შეგიწყოთ ხელი სურვილის განხორციელებაში — სწავლის გაგრძელებაში.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ ნ. ვასაძის დავალებით მიმღები კომისიის მდივანი ლ. ბიბილეიშვილი. 17. III. 1984 წ“.

იმ დღეს ნათია ბედნიერი იყო.

ნათია ხუბაშვილი, ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების I კურსის სტუდენტი, მაღალყელიან რეზინის ჩექმებში გამოწყობილი ამაყად დააბიჯებს მთათუშეთის მიწაზე, გულში თავისი დიდებული ქვეყნის სამადლობელს იმეორებს. მართალია, დიდი მანძილი აშორებს მშობლებს, ამხანაგებს, ახლობლებს, მაგრამ მან აქ, მთაში შეიძინა ახალი მეგობრები, უახლოესი ადამიანები, ბავშვები, რომელთაც სიყვარულით შესცქერის, სიამით უსმენს მათ ბავშვურ ხმებს:

— „მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი...
ამბობს ლიანა სისაური.
— „და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი“...

აგრძელებენ ლექსს დათო და მზია სეხნიაიძეები, ნინო და ბადრი მოზაიძეები — ნათიაც ეთანხმება მათ. აქ ვერავინ მოიწყენს!

ზეინაბ მდინარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მოდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარჯიში მუცლის პრესისა და თეძოებისათვის










ქალებს დიდ უსიამოვნებას ჰგვრის დიდი მუცელი, მსუქანი, ან პირიქით ძალიან გამხდარი თეძოები. ამ ნაკლის გამოსასწორებლად დაგვეხმარება ვარჯიშთა სპეციალური კომპლექსები. ოღონდ, მინდა წინასწარ გაგაფრთხილოთ — ეს ვარჯიში იოლი არ არის და მოსალოდნელ ეფექტს უცბად ვერ მიიღებთ. ამიტომ, ეცადეთ, ალიჭურვოთ მოთმინებით. შედეგს 1,5-2 თვის შემდეგ შეამჩნევთ. ქვემოთმოყვანილი ვარჯიშები, მხოლოდ ხუთწუთიანი წინასწარი გავარჯიშების („რაზმინკის) შემდეგ უნდა დაიწყოთ. გავარჯიშება შედგება წინ გადახრების, ჩაბუქვნისა და ხელფეხის სხვადასხვა მოძრაობისაგან. წინასწარი გავარჯიშებისათვის ჩვეულებრივი დილის გამამხნევებელი ვარჯიშიც გამოგადგებათ. ვარჯიშის დროს ისუნთქეთ თავისუფლად, ეცადეთ სუნთქვა არ შეიკავოთ.

## ვარჯიში მუცლის პრესისათვის

1. საწყისი მდგომარეობა — დაწექით ზურგზე, ხელები ტანის გასწვრივ დაილაგეთ. ხელისგულები ამობრუნებულია.

შეტყუპებული ფეხები იატაკიდან 40-50 სმ-ს სიმაღლეზე ნელა ასწიეთ და ასევე ნელა დაუშვით. გაიმეორეთ 8–10-ჯერ. როცა ვარჯიშს აითვისებთ ფეხების აწევის კუთხე 90 გრადუსამდე გაზარდეთ.

2. **საწყისი მდგომარეობა — დაწექით** ზურგზე, ხელები თავქვეშ ამოიდეთ. შეტყუპებული ფეხები ასწიეთ 90 გრადუსამდე და დაიწყეთ წრის შემოხაზვა (ნახატი I), შემოხაზვის ამპლიტუდა თანდათანობით გაზარდეთ, ვიდრე ფეხებით იატაკს არ შეეხებით. მერე ამპლიტუდა ნელი-ნელ შეამცირეთ და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. დაიმეორეთ 5-5-ჯერ ორივე მხარეს.

3. **საწყისი მდგომარეობა — იგივეა, რაც** პირველი ვარჯიშის დროს. ასწიეთ ფეხები იატაკიდან 30-40 სმ-ზე და ერთმანეთზე გადააჯვარედინეთ, გაიმეორეთ 8-10-ჯერ.

4. საწყისი მდგომარეობა — დაწექით ზურგზე ისე, რომ თავი კედლისკენ გქონდეთ. ტერფებზე ორ-ორი რეზინის „ბინტი“ შემოიხვიეთ, რომლებიც სავარჯიშო („შვედურ“) კედელზეა დამაგრებული. დაიწყეთ ფეხებით ზევით-ქვევით ენერგიული მოძრაობა (ნახატი 2), გაიმეორეთ 10-12-ჯერ.

5. საწყისი მდგომარეობა — დაწექით ზურგზე, ხელები მოკიდეთ კედელზე დამაგრებულ რეზინის „ბინტებს“. თავითა და მხრებით წამოიწიეთ ისე, რომ „ბინტი“ მუხლებისაკენ მოქაჩოთ, ფეხები ასწიეთ, რაც შეიძლება მაღლა (ნახატი 3), გააჩერეთ, ვიდრე ხუთამდე არ დაითვლით. გაიმეორეთ 5-ჯერ. რეზინის „ბინტების“ მაგივრად შეგიძლიათ იხმაროთ ტრენაჟერი — „გრაცია“.

## ვარჯიში მსუქანი თეძოებისათვის

1. საწყისი მდგომარეობა — დადექით მარცხენა გვერდიდან სავარჯიშო კედელთან, რომელზეც მარცხენა ხელითვე დაეყრდნობით. მარჯვენა ფეხი გვერდზე იქნიეთ. მერე გვერდიდან შემობრუნდით და იგივე გაიმეორეთ. გააკეთეთ 10-ჯერ.

2. საწყისი მდგომარეობა — დაწექით მარცხენა გვერდზე. მარცხენა ხელი ისე მოხარეთ, რომ იატაკზე დაყრდნობილი ხელი სწორ კუთხეს ჰქმნიდეს. მარჯვენა ხელით კი დაეყრდენით იატაკს, ფეხები ერთად იყოს. ხელებისა და მარცხენა ფეხის ტერფის გარეთა ნაპირზე დაყრდნობით მარცხენა თეძო აიქნიეთ (ნახატი I), შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ 10-ჯერ. იგივე გააკეთეთ მარჯვენა მხრიდანაც.

3. **საწყისი მდგომარეობა — იგივეა. ხელებს დაეყრდენით, შეტყუპული ფეხები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწიეთ ზევით (ნახატი 2), შემდეგ დაუშვით. გაიმეორეთ 10-ჯერ. იგივე გაიმეორეთ მეორე მხრიდან.

4. საწყისი მდგომარეობა — დაწექით იატაკზე გაშლილი შეტყუპული ფეხებით, ხელისგულები თავქვეშ ამოიდეთ. მკვეთრად გადაბრუნდით მარცხენა გვერდზე. შემდეგ მარჯვენაზე. გაიმეორეთ 12-15-ჯერ.

5. საწყისი მდგომარეობა — დადექით მუხლებზე. სწრაფად ჩაჯექით მარჯვენა მხარეზე და ორივე ხელი წინ გაიშვირეთ (ნახატი 3), დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში. იგივე გაიმეორეთ მარჯვენა მხარესაც (ვისაც ვენების გაგანიერება აქვს, ამ ვარჯიშის შესრულება არ შეიძლება).

6. საწყისი მდგომარეობა — დადექით, — ფეხები მხრების სიგანეზე, — ხელები წელზე. გააკეთეთ წრიული მოძრაობა თეძოებით ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. ეცადეთ თავი და მკერდი არ ამოძრაოთ. გაიმეორეთ 12-15-ჯერ ორივე მხარეს.

7. საწყისი მდგომარეობა — დადექით მუხლებზე, — მკლავები ტანის გასწვრივ. ბეჭები არ გაზნიქოთ ისე ნელა გადაიხარეთ უკან; ასევე ნელა დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში. გაიმეორეთ 8-10-ჯერ.

8. იარეთ ნახევრად და ღრმადჩაბუქნული ნაბიჯით 2-3 წუთს. ხელები მუხლებზე გილაგიათ.

## ვარჯიში გამხდარი თეძოებისათვის

1. საწყისი მდგომარეობა — დადექით, ფეხები მხრების სიგანეზე, ფეხის წვერები გვერდზე — გარეთ არის გაწეული. ნელი-ნელ აიწიეთ ფეხის წვერებზე. გაიმეორეთ 20-30-ჯერ.

2. საწყისი მდგომარეობა — დადექით, ფეხები ერთად, ხელები წელზე. ნელა აიწიეთ ფეხის წვერებზე. შემდეგ ასევე ნელა ჩაჯექით და ისე ადექით, რომ ეცადოთ კუნთები მაგრად დაჭიმოთ. დადექით ტერფებით. 2-3-ჯერ გამეორების შემდეგ ფეხების კუნთები მოადუნეთ და ორივე ფეხი ცალკ-ცალკე დაარხიეთ. გაიმეორეთ 20-25-ჯერ.

3. საწყისი მდგომარეობა — სკამზე როგორც ცხენზე, ისე შემოჯექით. ხელები სკამის ზურგს მოჰკიდეთ, ფეხების კუნთები დაჭიმეთ და ისე გასწიეთ წინ გამართულად. (ნახატი I), შემდეგ ისევ დაუშვით, გაიმეორეთ 20-25-ჯერ.

4. საწყისი მდგომარეობა — ფეხის წვერებით 4-5 სანტიმეტრის სისქის ფიცარზე დადექით, შემდეგ ისე დაიწიეთ, რომ ქუსლებით იატაკს შეეხოთ (ნახატი 2). გაიმეორეთ 10-12-ჯერ.

5. საწყისი მდგომარეობა — დადექით და ხელებით მაგიდის კიდეს დაეყრდენით, ფეხები მხრებზე განივრად გადგით. ტერფების იატაკზე გაჩოჩებით გასწორებული ფეხები შეაერთეთ (ნახატი 4), გაიმეორეთ 5-10-ჯერ.

მ. ვასილევა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# მხიარული დიალოგები

## წიგნის მაღაზიაში

— იტალიაში ვაპირებ წასვლას ორი კვირით. მეგზური ხომ არ გექნებათ?

— ინებეთ! აი ეს უკანასკნელი გამოცემაა, რომელსაც ეწოდება „ათი დღე იტალიაში".

— ჩინებულია! მაგრამ დანარჩენ ოთხ დღეს რა ვქნა?

## ჭორიკანა

— რად იმეორებ ჭორებს?

— მაშ რა ვქნა, როცა თვითონ ვერ ვიგონებ.

## თეატრში

ცოლი: შეხედე მეექვსე რიგში კაცს სძინავს.

ქმარი: მერედა, მაგის გულისათვის გამაღვიძე?!

## იმედის მიცემა

შეფი: რატომ ხართ თქვენს კოლეგაზე ნაწყენი?

ოტო: საჯაროდ მითხრა, შეიძლებოდა შენგან პატიოსანი ადამიანი გამოსულიყოო.

შეფი: მერე რა! მაინც არავინ დაუჯერებს.

## მიხვედრილობა

ცოლი: ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო...

ქმარი: ბრილიანტი თუ ზურმუხტი?

## უნდობლობა

ქმარი: ძვირფასო, გინდა, ციდან ვარსკვლავები მოგიწყვიტო?

ცოლი: არავითარი ვარსკვლავები, დღეს შინ იჯდები!

## პაექრობა

ქმარი: მე არ მინდა, თმას ასე მოკლედ რომ იჭრი.

ცოლი: ერთი ამას დამიხედეთ! შენ მითანხმდებოდი, როცა მელოტდებოდი?

## მხილება

მთხოვნელი: შეიძლება თქვენი შეფის ნახვა?

მდივანი: რა თქმა უნდა! დაუყოვნებლივ მიგიღებთ. იგი მშვენიერ ქალებს არასოდეს ალოდინებს.

მთხოვნელი: ჩინებულია! გადაეცით თქვენი ცოლი მოვიდა-თქო.

## ქალების საუბრიდან

— ცოლ-ქმრობა უდაბნოსა და მირაჟს მაგონებს — სასახლით, პალმებითა და აქლემებით. შემდეგ ჯერ სასახლე ქრება. მერე — პალმები და, ბოლოს ერთ აქლემთანღა რჩები.

## საყვედური

ქმარი: პირდაპირ საოცარია, რა უხეიროდ არის განათებული ეს ქუჩა!..

ცოლი: განა დიდი ხანია მას შემდეგ, ჩვენს ქორწინებამდე სახლში რომ მაცილებდი და ბუზღუნებდი ხოლმე, აქ საღამოობით დღესავით სინათლეაო!..

## სარფიანობა

— გავიგე ცოლისათვის ბანქოს თამაში გისწავლებია.

— ჰო, და კარგადაც გამიმართლა. ჩემი ხელფასის თითქმის ნახევარს ვუგებ ხოლმე.

## თვალთმაქცობა

— წიგნები — ჩემი საუკეთესო მეგობრებია!

— მაშ ყველა გაუჭრელი რად არის?

— მეგობრებზე დანა როგორ უნდა აღვმართო?!

## ქარაგმა

სიდედრი: რა მშვენიერი პაწაწინა ხე ჩაგირგავს გაზონებში, ოტო! სულ ერთი ფუტი სიმაღლისა თუ იქნება.

სიძე: ჰო, ეს-ეს არის ჩავრგე. ვიმედოვნებ, შემდეგისათვის რომ მობრძანდებით მაგის ჩრდილში ჩამოჯდომა შეგეძლებათ.

## ოინბაზობა

ცოლი: ძვირფასო, არ შეგიძლია ჭურჭლის დარეცხვაში მომეხმარო?

ქმარი: მთელ დღეს ყელამდე საქმეში ვიყავი ჩაფლული და საშინლად დავიღალე.

ცოლი: მე მხოლოდ შენი გამოცდა მინდოდა, ჩემო კარგო, ჭურჭელი დიდი ხანია დარეცხილია!

ქმარი: გეხუმრე, ჩემო ფისუნია, სიამოვნებით მოგეხმარებოდი.

## უმეცრება

— როგორ მოგწონთ ბალეტი?

— ძალიან კარგია! მაგრამ არ მესმის ქალიშვილები ფეხის წვერებზე რატომ ცეკვავენ. არ აჯობებდა, თავიდანვე უფრო ტანმაღალი გოგონები აერჩიათ.

გერმანულიდან თარგმნა
ზოთა ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ლამაზი რომ იყოს

# კანს სინაზე დავუბრუნოთ

სიცივისა და ნესტისაგან სახისა და ხელების კანი უხეშდება, კარგავს ელასტიურობას, იქერცლება. თუ გინდათ კანს სირბილე და სინაზე დაუბრუნოთ ისარგებლეთ ჩვენი რჩევებით.

დილით, პირის დაბანამდე, სახეზე გადაისვით არაჟნისა და კვერცხის გულის თხელი ფენა, 10 წუთის მერე გადაისვით საპარსი საპნის კრემი; ბამბის ტამპონი ცხელ წყალში დაასველეთ, მოაყარეთ ზედ თანაბარი რაოდენობის ბორაქსი და საჭმლის სოდა, და წარმოქმნილი მასა წრიული მოძრაობით კანში შეიზილეთ. ყოველივე ამის შემდეგ დაიბანეთ ჯერ ცხელი, შემდეგ ცივი წყლით; არ შეიმშრალოთ ისე, სველ კანზე წაისვით კრემი („ნექტარი“, „ვეჩერი“ ან „ვიტამინნი“). წყლის ზედმეტი წვეთები ხელსაწმენდი ქაღალდით შეიმშრალეთ. ეს პროცედურა აკეთეთ ყოველ დღე, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიიღებთ.

თუ კანი ძალიან მშრალი და დაშაშრული გაქვთ, მაშინ საჭიროა მისი ცხიმებით კარგად „გაჟღენთვა“. ამისათვის აიღეთ 25 გრ ზეითუნის, ან სიმინდის, ან ნუშის ზეთი. აურიეთ ამავე რაოდენობის აბუსალათინის („კასტორკის“) ზეთში და შეათბეთ. ამ ნაზავში დაასველეთ დოლბანდი და დაიდეთ კანზე, რომელიც წინასწარ გაწმენდილი გაქვთ რაიმე თხელი კრემით („როსსვეტ“, „უტრო“, „როზოვი“, „ბარხატნი“ ან „მინდალნი მოლოკო“), დოლბანდი კანზე 20-30 წუთს გაიჩერეთ. შემდეგ თითის წვერებით ამოიღეთ რაიმე ჭარბცხიმიანი კრემი და ლიმონის რამდენიმე წვეთი, კანში (თითების დარტყმით) შეიზილეთ და 20-30 წუთს გააჩერეთ. (თუ კანის წვას არ იგრძნობთ, შეგიძლიათ ერთ ხაათსაც გააჩეროთ. შეისხით ცივი წყალი და კვლავ სველ კანზე წაისვით რაიმე მკვებავი კრემი („ვოსტორგი“, „ლუქსი“, „ვეჩერი“). ამის შემდეგ კანი შეგიძლიათ პირსახოცით შეიმშრალოთ.

სასარგებლოა აგრეთვე კოსმეტიკური ნიღაბი: აიღეთ ერთი სუფრის კოვზი თაფლი, თითო ჩაის კოვზი პურის ფქვილი და ლიმონის წვენი და ყოველივე გულდაგულ ერთმანეთში აურიეთ. მიღებული ფაფა წაისვით წინასწარ ლოსიონით გაწმენდილ სახეზე და ხელებზე. 15-20 წუთის შემდეგ ნიღაბი ცივი წყლით ჩამოიბანეთ, მერე კი წაისვით რომელიმე კრემი („ვოსტორგი“, „იანტარი“ ან „ალოე“). ასეთი ნიღაბი ყოველ დღე შეგიძლიათ გაიკეთოთ.

სახლიდან გამოსვლის წინ არ დაგავიწყდეთ ჭარბცხიმიანი კრემის წასმა.

ი. კოლგუნენკო,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე — დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 97-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-59. გადაეცა ასაწყობად 6. 12. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. I. 85 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 148000. შეკვ. 2778. უე 05406.



საახალწლოდ თბილისელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. დიღმის მასივში, ახალ, კეთილმოწყობილ, ოთხსართულიან შენობაში გადავიდა თანამედროვე სამკურნალო აპარატურით აღჭურვილი 21-ე პოლიკლინიკა.

დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



674/18

ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178